ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

ანა დავიდიანი

თოქ-შოუს ჟანრის ახალი ტენდენციები პოლარიზებულ მედიაგარემოში

საკვალიფიკაციო ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი,

მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი,

2024 წელი

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი მედიანიმუშების კონტენტ-ანალიზზე დაყრდნობით შეისწავლის და იკვლევს ანალიტიკურ-პოლიტიკურ გადაცემების „მრგვალი მაგიდისა“ და „სამნი & Co-ს“ მაგალითზე ტელეწამყვანების, როგორც კომუნიკატორების სტრუქტურასა (ფორმატები, როლები, როლური ლექსიკა) და მათ შეტყობინებებს (შეტყობინებები/კომუნიკაცია ერთმანთთან, მეტყველებითი კოდები). ლიტერატურის მიმოხილვა სამი ქვემიმართულებისგან შედგება: 1. ტელეწამყვანის, როგორც კომუნიკაციური პიროვნების კონცეფციის განვითარება; 2. ტრენდი სატელევიზიო მაუწყებლობაში; 3. დისკურსისა და კრიტიკული დისკურს-ანალიზის შესახებ. თვისებრივ კონტენტ-ანალიზში გამოყოფილია დისკურსული და არადისკურსული, ვერბალური და არავერბალური კოდების კონტენტ ანალიზი, ასევე, კრიტიკული დისკურს-ანალიზი.

სარჩევი

შესავალი 4

ლიტერატურის მიმოხილვა 6

ტელეწამყვანის როგორც კომუნიკაციური პიროვნების კონცეფციის განვითარება 6

ტრენდი სატელევიზიო მაუწყებლობაში 11

დისკურსისა და კრიტიკული დისკურს-ანალიზის შესახებ 14

კვლევის დიზაინი 16

კვლევის მეთოდოლოგია 18

კვლევის შედეგები 20

„მრგვალი მაგიდა“ 20

„სამნი&Co“ 39

დასკვნა 60

შესავალი

მედიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე პოლიტიკას ეხება. მედიასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა რთული და მრავალმხრივია, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებას.

დღეს საქართველოში მედია პოლარიზებულია, რაც პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში ხშირად გულისხმობს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ ან სოციალურ დაყოფას საზოგადოებაში, რაც სხვადასხვა გზით შეიძლება გამოვლინდეს, მათ შორის პოლიტიკურ თოქ-შოუებშიც გვხვდება. მსგავს თოქ-შოუებში დიდი გავლენა აქვს წამყვანს, პოლარიზაცია შეიძლება გაიზარდოს თუ წამყვანი რომელიმე პოლიტიკურ მხარეს უპირატესობას მიანიჭებს, რამაც შემდგომ სტუმარზეც შეიძლება მოახდინოს გავლენა. წამყვანებმა შეიძლება მიზანმიმართულად ან უნებლიედ მოიწვიონ ისეთი სტუმრები, რომლებიც წარმოადგენენ რადიკალურ ან პოლარიზებულ შეხედულებებს, რამაც შესაძლოა მწვავე დებატებსა და დაპირისპირებას შეუწყოს ხელი. მსგავსი გადაცემების პოლარიზება შეიძლება შემცირდეს თუ წამყვანები სამართლიანები, მიუკერძოებლები იქნებიან და წაახალისებენ დაბალანსებულ და მრავალფეროვან დისკურსს. წამყვანს კომუნიკატორის როლი აქვს, ხოლო რამდენიმე წამყვანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მათი ერთმანეთის, სტუმრებისა თუ მაყურებლისადმი ურთიერთობა, მათი შეტყობინებები, მეტყველებითი კოდები და ქმედებები ქმნის გადაცემისა და შემდგომ ტელეკომპანიის სახეს.

სწორედ ჩვენი კვლევის საგანია ანალიტიკურ-პოლიტიკური გადაცემების კომუნიკატორის სტრუქტურა, წამყვანთა როლის, ფუნქციების, მეტყველებითი კოდების და მათი შეტყობინებების შესწავლა. ასევე, როგორ გამოიყურება მედიაორგანიზაციაში, კონკრეტულად ტელევიზიაში, ამ ორგზანიციის ხმა, სახე და მესიჯები. გამოვყავით თუ რას საუბრობენ წამყვანები ერთმანეთში და ის, რაც აუდიტორიისთვის არის. ამისთვის კი

შევარჩიეთ ორი ტელეკომპანიის ანალიტიკურ-პოლიტიკური გადაცემა, ესენია - *ფორმულას* „მრგვალი მაგიდა“ და *პოსტ ტვ*-ის „სამნი & Co.“ აღსანიშნავია, წამყვანების ირონია, კრიტიკა, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ზოგიერთ შემთხვევაში ცინიზმიც კი, რაც გავლენას ახდენს მედიასაშუალებების სახეზე.

საკვლევი პერიოდი: 2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

საკითხის აქტუალობა: საკითხის აქტუალოაბაზე ხაზს უსვამს, ის ფაქტი, რომ საქართველოში პოლიტიკური მოვლენები და მათი განხილვა ერთ-ერთი პოპულარული საკითხია თოქ-შოუებში, ასევე მნიშვნელოვანია ამ დროს წამყვანის, როგორც კომუკატორის როლის წარმოდგენა, მისი ფუნქცია, ქმედება და მესიჯები.

კვლევის მეთოდი: თვისენრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი დისკურსული და არადისკურსული, ვერბალური და არავვერბალური კოდების კონტენტ-ანალიზი; კრიტიკურლი დისკურს-ანალიზი.

საბაკალავრო ნაშრომის პირველ თავში ვხვდებით ტელეწამყვანს, როგორც კომუნიკატორს, მის როლს, ტიპოლოგიას, მათ ტექსტებს, მეტყველებით კოდებს, შეტყობინებებს. ტელეარხების პოლიტიკურ მხარეებთან ურთიერთობა, მათი სარედაქციო პოლიტიკა, რაც აქტუალურია დღევანდელ სატელევიზიო მაუწუებლობაში. მნიშვნელოვანია, ასევე წამყვანთა ერთმანეთთან დამოკიდებულება, მინიშნებები, არავერბალური თუ ვერბალურური კომუნიკაცია.

მეორე თავში განხილულია კვლევის მეთოდოლოგია, კონკრეტულად კონტენტ-ანალიზი და კრიტიკული დისკურს-ანალიზი, რაც შემდგომში გვეხმარება კვლევის შედეგების წარმოჩენაში, რომ დავადგინოთ ანალიტიკურ-პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანთა, როგორც კომუნიკატორის როლი.

მესამე თავში კი წარმოდგენილია მეთოდის დაკვირვების შედეგად წარმოდგენილი შედეგები „მრგვალი მაგიდისა“ და „სამნი & Co-ს“ მაგალითზე.

ნაშრომის ბოლო ეტაპია დასკვნა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ტელეწამყვანის როგორც კომუნიკაციური პიროვნების კონცეფციის განვითარება

კომუნიკაციის თეორიამ მედიაორგანიზაციების იმ თანამშრომლებს, რომლებსაც დღეს ბანალურ, ყოველდღიურ მეტყველებაში ტელეწამყვანებს ვუწოდებთ, „კომუნიკაციური პირი/პიროვნება“ უწოდა [(ფისკი, ფაისკი, Fiske (2010); გავრა, Гавра (2011)]. ტელევიზიის დაბადებისა და ადრეული განვითარების პერიოდში მათ დიქტორებად მოიხსენიებდნენ. კომუნიკაციის პროცესის ყველაზე ზოგადი მოდელის მიხედვით, ტელეპერსონა ფუნქციურად კომუნიკატორია, ანუ პირი, რომელიც კონკრეტული მედიუმის – ტელევიზიის – მეშვეობით მიმღებ აუდიტორიას გადასცემს შეტყობინებას. იგი წარმოადგენს მედიაორგანიზაციას, ამიტომ ამ შემთხვევაში კომუნიკატორის სტრუქტურა კომპლექსურია: თვითონ ტელეწამყვანი (როგორც კომუნიკაციური როლი) + მედიაორგანიზაცია (როგორც კომუნიკაციის განზრახვისა და შეტყობინების შინაარსისა და მნიშვნელობის შემქმნელი/განმსაზღვრელი).

მედიისა და კომუნიკაციის ტერმინების ლექსიკონში ტელეწამყვანის ამგვარ განმარტებას ვხვდებით (ჰილი, Hill, 2003): “წამყვანი არის მასობრივი ინფორმაციის საშუალების თანამშრომელი, რომელიც მუშაობს კადრში (ტელევიზიის შემთხვევაში) ან ეთერში (რადიოს შემთხვევაში) და ახდენს გადმოცემული ინფორმაციის პერსონიფიკაციას“. ტელევიზიის ოპერაციული თეორიის მიხედვით, წამყვანი არის ტელეჟურნალისტის ექვსი ამპლუადან ერთ-ერთი (ცვიკი, Цвик, 2004). ამპლუების ეს კლასიფიკაცია ცვიკს ამგვარად აქვს წარმოდგენილი: რეპორტიორი, ინტერვიუერი, კომენტატორი, მიმომხილველი, შოუმენი. ამ ექვსი ამპლუას შედარებისას იქვე ვნახულობთ ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს, რომელიც ტელეწამყვანის იმიჯს და პერფორმანსის ეფექტურობას გამოარჩევს: გამოცდილება, რომლის განმავლობაშიც ყალიბდება და იხვეწება მისი

პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის უნიკალური სტილი.

რაც შეეხება ტელეწამყვანის ტიპოლოგიას, იგი რამდენიმე წყაროს (Holmes &Redmond, 2015; Маховская , Прохоров, 2012 და სხვ.) მიხედვით შევაჯერეთ და ამგვარი სურათი მივიღეთ:

(1) პირველი ტიპი – რეტრანსლატორი (იგივე დიქტორი), რომელიც ასრულებს ინფორმატორის ფუნქციას საახალამბებო გამოშვებებში; ეს ტიპი ასევე მოიხსენიება როგორც ტრადიციული ტიპი, რომელიც ტელევიზიას მისი დაბადებიდან მოჰყვება.

(2) მეორე ტიპი – ანალიტიკოსი-კომენტატორი, რომელიც ინფორმაციული გაცნობიერების მაღალ ხარისხთან ერთად ავლენს მიკერძოებას (უპირატესობის მინიჭებას) რომელიმე თვალსაზრისადმი, რომელიც, დიდი ალბათობით, მის ღირებულებრივ პრეფერენციებს ემთხვევა; ეს ტიპი, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რეტრანსლატორზე გვიან გაჩნდა.

(3) მესამე ტიპი – წამყვანი-მოდერატორი, რომელიც სტუდიაში მოწვეულ ექსპერტებთან გარკვეული ბალანსის დაცვის მიზნით წარმართავს დებატებს; დამახასიათებელია თოქშოუებისთვის, რომლებსაც მცირერიცხოვანი სტუმრები ჰყავს.

(4) მეოთხე ტიპი – იდეების გენერატორი, რომელსაც, როგორც წესი, ფართო და მრავალრიცხოვან სტუდიურ აუდიტორიასთან ერთად ახდენს ამა თუ იმ იდეის დატესტვას; დამახასიათებელია კლასიკური, ანუ მრავალმონაწილიანი, თოქშოუებისთვის.

(5) მეხუთე ტიპი – იმპროვიზატორი, განსაზღვრული როლის შემსრულებელი, რომელიც ხშირად ავანტიურაზე ან პროვოკაციაზეც კი მიდის, რათა შოუს მონაწილეებს შორის მონაწილეობის ან ჩართულობის მუხტი გააღვივოს, ან საკითხი მოულოდნელი რაკურსით დაანახოს როგორც მონაწილებს, ისე აუდიტორიას. დამახასიათებელია თოქშოუებისთვის, მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად.

როგორც გვიჩვენებს ტიპოლოგია, წამყვანის როლური მოდელები, ერთის მხრივ, თვითონ განაპირობებენ თოქშოუს კომპოზიციას, ხოლო მეორეს მხრივ, თავად არიან ფუნქცია შოუების ფორმატებისგან და მათი ინტენციებისგან.

ამ ტიპოლოგიის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ამერიკული თოქშოუების ფორმატების გლობალიზაციამ, მათ „სატელევიზიო მოდად“ და „ტრენდად“ დამკვიდრებამ (ოლგა მახოვსკაიას შეფასება – ა.დ.). საყოველთაოდ აღიარებულია ამერიკული თოქშოუების გავლენა წამყვანის/კომუნიკატორის როლური მოდელის ჩამოყალიბებაზე. რათა თვალნათლად ვაჩვენოთ ამ გავლენის განზომილებები, აუცილებელია საკუთრივ თოქშოუების ნიშან-თვისებები გამოვკვეთოთ, რაც მთელი კულტურული რევოლუციის ტოლფასი აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტელეჟურნალისტიკისთვის 90-იანებში.

ამერიკულ თოქშოუებს ახასიათებდა არაფორმალური, უფრო მეტად საუბრის სტილის კომუნიკაცია - ნიუსებისა და ინფორმაციის წარდგენისასაც კი. მოიხსნა დაძაბული ტრადიციული სტილი, რომელიც ჩვენს კულტურულ სივრცეში ტელეწამყვანის მეტყველებასთან ასოცირდებოდა.

თოქშოუებმა გაზარდა ინტერაქციულობის ხარისხი და აუდიტორიის ჩართულობა. აუდიტორიის ჩართულობა სხვადასხვა სტრატეგიითა და ტექნიკური საშუალებებით ხორციელდებოდა: შოუს დამსწრე აუდიტორია წარმოჩენილი იყო როგორც საზოგადოების მიკრომოდელი, რომელიც სიმბოლურად საზოგადოებაში არსებულ აზრზთა პლურალიზმს განასახიერებდა; ასევე – ინტერაქციულობას და საზოგადოების ჩართულობას ადასტურებდა სატელეფონო ზარები პირდაპირ ეთერში, დღეს კი, სოციალური მედიის ეპოქაში, საზოგადოების ჩართულობა ლაივსტრიმის მიმდინარეობისას საჯარო კომენტარებით და წამყვან(ებ)ისთვის შეკითხვების დასმაში გამოიხატება.

თოქშოუების ტექსტსა და პერფორმანსს ტრადიციული საინფორმაციო გამოშვებებისგან ასევე განასხვავებდა და განასხვავებს პერსონალიზაცია და ემოციური კავშირი. თოქშოუს ფორმატი ხშირად უბიძგებს შოუს წამყვანებს პერსონალური გამოცდილება გაუზიარონ

მსმენელ აუდიტორიას და სტუდიაში მოწვეულ სტუმრებს. ეს პერსონალური „შეხება“ ამყარებს უფრო ღრმა ემოციურ კავშირს მსმენელთან და მაყურებელთან, სიახლოვე კი პირდაპირ უკავშირდება ნდობის ფააქტორს.

მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა/ჩართულობა – მონაწილეთა მრავალრიცხოვნობა, თემის სხვადასხვა რაკურსით განხილვა თავისთავად გულისხმობდა მრავალფეროვნებას, პლურალიზმს, „მრავალხმიანობას“, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართულობას მედიურ ტექსტში.

გართობისა და ინფორმაციის ნაზავი – ამ ნაზავს მედიური ტერმინების ლექსიკონში გამოხატავს უკვე ტერმინად ქცეული „ინფოტეინმენტი“ (infotainment), რომელიც ორი ფენომენის,– ინფორმაციის (Information) და გართობის (Entertainment), – ერთ ენობრივ კომპოზიტში გაერთიანებით შეიქმნა; ინფოტეინმენტი წმინდა წყლის მარკეტინგული ხრიკი იყო, რომლის წყალობითაც მსმენელს ინტერესი თოქშოუსადმი არ უნდა განელებოდა და იგი შოუს მაყურებლად დაეტოვებინა მის დასრულებამდე.

ცნობილი სახელების ჟურნალისტიკა – თოქშოუებმა შექმნა ე.წ. „Celebrity Journalism“, რომელშიც შოუს სრულფასოვან კომპონენტს წარმოადგენს თავად ცნობილი პიროვნება და არა ის, რასაც ის ლაპარაკობს. სწორედ ამ თოქშოუებმა წაშალა საზღვრები ტრადიციულ ჟურნალისტიკასა და ზეპური საზოგადოების ქრონიკას შორის.

ამდენი კომპონენტის ერთ სივრცში მოქცევა, ქაოსის თავიდან ასაცილებლად, მოითხოვდა მკაფიო კომპოზიციას და ამ დადგენილი კომპოზიციის თამაშის წესების დაცვას. კომპოზიცია, ყველაზე ზოგადი განმარტებით, არის შემადგენლობა, შეერთება, ნაწარმოების კანონზომიერი აგებულება, მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთმიმართება, ზოგჯერ – განსაზღვრული პროპორციით, რათა მთლიანობა შეესაბამებოდეს კომუნიკატორის მიერ დაგეგმილ მიზანს, რათა რომელიმე კომპონენტის ჭარბმა გამოყენებამ („ზედოზირებამ“) უკუეფექტი არ გამოიწვიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპოზიცია გამოხატავს მასალის ორგანიზაციის, დაწყობის პრინციპს. როგორც თოქშოუს ფორმატის რუსი მკვლევარი ნატალია ბულეიკო აღნიშნავს, თოქშოუს ჟანრის

სქემა ერთი შეხედვით, წაუგებელია და ყველა შემთხვევაში ეფექტის მომტანი: გმირი/გმირები, წამყვანი/წამყვანები, პუბლიკა სტუდიაში და მის გარეთ, შეკითხვები და პასუხები. მაგრამ ეს სქემაც საჭიროებს კომპოზიციურად აგებასა და შეკვრას, რათა მაყურებლის ყურადღება არ მოდუნდეს.

ამიტომ პროდიუსერები თოქშოებს ჰყოფენ ნაწილებად, რაუნდებად, ბლოკებად, და თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ნატალია ბულეიკოს (2017) კომპოზიციურად შეკრული, მკაცრად სტრუქტურირებული თოქშოუს მაგალითად მოჰყავს „როსია 1“-ის ეთერის „ორთაბრძოლა“ [«Россия 1»; «Поединок»]. ამ თოქშოუში ორი ცნობილი ადამიანი ხვდება ერთმანეთს, რომელთა მოსაზრებები განსაზღვრულ აქტუალურ საკითხზე კარდინალურად უპირისპირდება ერთმანეთს. დებატები სამ რაუნდად მიმდინარეობს და თითოეული რაუნდის ხანგრძლივობა 10-15 წუთია. პირველ რაუნდში მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა ერთმანეთს შეკითხვები დაუსვან და პასუხი გასცენ მათ. მეორე რაუნდში ორ მთავარ მონაწილეს ექსპერტები უერთდებიან, რომლებსაც, თოქშოუს კომპოზიციის მიხედვით, „სეკუნდანტებად“ მოიხსენიებენ და რომლებიც ორივე მხარეს უსვამენ შეკითხვებს. მესამე რაუნდი წამყვანის რაუნდია, ამ მონაკვეთში შეკითხვებს მხოლოდ წამყვანი სვამს, თუმცა წინა ორი რაუნდის განმავლობაშიც წამყვანი არ არის პასიური ფიგურა, – იგი ყოველი რაუნდის შემდეგ მიდის გასაუსაბრებლად „მსაჯთან“, რომელიც ცალკე გამოყოფილ კაბინაში ზის, უყურებს სტუდიას და აკვირდება იქ მიმდინარე დებატებს. დროის ათვლა სტუდიაში დამონტაჟებულ დიდ მონიტორზე აისახება, ანუ მონაწილეებს შეუძლიათ, აკონტროლონ თავიანთი დრო. დებატების მიმდინარობისას ტელემაყურებლებს შეუძლიათ, ხმა მისცენ ამა თუ იმ მონაწილის სასარგებლოდ მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით. თოქშოუს გამარჯვებულად სახელდება ის მონაწილე, რომელიც ტელემაყურებლების უფრო მეტ ხმას მიიღებს. როგორც აღწერიდან ჩანს, „ორთაბრძოლას“ აქვს დრამატურგიული კომპოზიციის ყველა ელემენტი: ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, პერიპეტიები, რომლებსაც კულმინაციასთან მივყავართ და საკუთრივ კულმინაცია. [Булейко Н.,Гаджимусилова Д., (2017)].

მსგავსი ფორმატის თოქშოუ საქართველოში (თამაშის მკაცრი, გაწერილი წესებით და წამმზომის კულტურით) საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2020 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გამოიყენა – მასში იყო ყველა კანდიდატის/მონაწილის მთავარი სათქმელისთვის გამოყოფილი დრო, ასევე – დრო შეკითხვებისთვის და პასუხებისთვის; და იყო წამყვანის აქტიური ფიგურა (გიორგი გვიმრაძე).

ტრენდი სატელევიზიო მაუწყებლობაში

ტელევიზიის თეორეტიკოსი და ტელევიზიის ფსიქოლოგიის სპეციალისტი ოლგა მახოვსკაია ამკვიდრებს „სატელევიზიო მოდის“ კონსტრუქტს, რომელიც ტელემაყურებლების ჯერ კიდევ ფართო აუდიტორიას არა მხოლოდ გემოვნებით პრეფერენციებს უყალიბებს, რომლებიც, თავის მხრივ, ინფორმაციის მოწოდების ამა თუ იმ ჟანრისადმი, ფორმატისადმი, ხერხისადმი უპირატესობის მინიჭებაში, სიმპათიაში გამოიხატება, არამედ ადამიანის ცხოვრების – როგორც სინამდვილეში/რეალობაში არსებული ფაქტის – სხვადასხვა სფეროსადმი დამოკიდებულებებსაც. მახოვსკაია [აკადემიურ დებატებში ევგენი პროხოროვთან] ამტკიცებს, რომ ტელევიზია, რომელიც ჯერ კიდევ არის კომუნიკაციის ყველაზე ყოვლისმომცველი და კონვერგენტული საშუალება, არ ცდილობს გამოიყენოს „სინამდვილის უფრო ადეკვატურად ამსახველი საშუალებები და ფორმები“ [პროხოროვის ციტატა - ა.დ.], არამედ ყოველდღიურად თვალსაჩინოს ხდის საწინააღმდეგო პროცესს, როცა ტელევიზია მიზნმიმართულად ამახინჯებს კოდებსა და საზრისს დაა ამით ნიველირებას უკეთებს ტელევიზიის ისეთ ძირითად ფუნქციებს, როგორებიც არის: საგანმანათლებლო, შემეცნებითი, აღმზრდელობითი და კულტურის მაფორმირებელი ფუნქციები.

„ტრენდის“ კულტუროლოგიური ცნება ერთ-ერთია იმ ტერმინთაგან, რომლებიც მიემართება ზემოქმედებების საშუალებებს და განიმარტება, როგორც „მიდრეკილება, ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავს და განაპირობებს განვითარების ძირითად მიმართულებას, საზოგადოებრივი აზრის მეინსტრიმულ მიმართულებას, მოდაში აქტუალურ სტილს“ (კომლევი, 267, ციტირებული მახოვსკაის მიერ, 2012), – მახოვსკაია

უმატებს, რომ ეს ტრენდი „ამსუბუქებს“ სოციალურ მოთხოვნებს და ხელს უწყობს ესკაპიზმს, გაქცევას აქტუალური პრობლემებისგან.

ნაზარჩუკი (2013, გვ. 149) მიუთითებს, რომ „ტრენდის“ შექმნა ხდება ორი ურთიერთდაპირისპირებული სტრატეგიით: (1) შინაარსობრივი მეინსტრიმის შექმნით, როცა მიზანმიმართულად ხდება ერთი და იმავე საკითხის მუდმივი ექსპოზიცია მაუწყებლობის დღის წესრიგში – ამასთან, ეს მეინსტრიმი მუდმივად მიბმულია რაიმე ტიპის საინფორმაციო საბაბთან, რაც ქმნის ილუზიას, რომ ეს საკითხი რეალობაშიც აქტუალურია, ანუ ღირსია იყოს აუდიტორიის დიდი ნაწილის ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი; (2) განსაზღვრული ხატების ტექნიკური მანიპულაციით, როცა რაიმე თემის, ობიექტის გადაღება და მონატაჟი მის „ნამდვილობას“ (ანუ აქტუალურობას) ეჭვქვეშ აყენებს და ეს ხდომილება დისტანცირდება მაყურებლისგან – ვიზუალური დევალვაცია იმგვარ დატვირთვას იძენს, რომ საკითხი თავისთავად გადის „ტრენდიდან“.

ტრენდის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდ როლს ასრულებს მედიასისტემის მოდელი (ჰალინისა და მანჩინის სქემის მიხედვით, 2004), კონკრეტულად კი პოლიტიკური პარალელიზმის კომპონენტი, როცა მედიაორგანიზაციების განსაზღვრული ნაწილი პოლიტიკური პარალელიზმის რეჟიმში იმყოფება ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან, როცა ისინი დეკლარირებულად აცხადებენ, რომ ისინი როგორც ინსტიტუციურად, ისე სარედაქციო პოლიტიკის შინაარსობრივი მხარის მიხედვით, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. საქართველოში ასეთი ღია პოლიტიკური პარალელიზმი ორი სატელევიზიო არხის შემთხვევაში დაიკვირვება: პოსტივი („ქართული ოცნების“ და „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული პოლიტიკური ძალის, „ხალხის ძალის“ მედიაპარტნიორი) და ფორმულა (დავით კეზერაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მის მიერ მართული ერთ-ერთი ფრთის მედიაპარტნიორი). თავისთავად ცხადია, რომ მედიაორგანიზაციასა და პარტიას შორის ამგვარი ურთიერთობის პირობებში მედიას პოლიტიკური მესიჯის ფიქსაციისთვის განსაკუთრებული მედიური სტრატეგიის არჩევა მართებს – მესიჯის და/ან მესიჯების ხშირი გამეორება, მისი/მათი სხვადასხვა ტიპის დისკურსით დამკვიდრება (დაწყებული საინფორმაციო გამოშვების ნიუსით,

დამთავრებული სხვადასხვა ტიპის ფორმატების თოქშოუებით და სხვდასხვა სტილის მეტყველებითი აქტებით).

ჩემი აზრით, ამ ძალისხმევის ერთ-ერთ გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმგვარი მედიაპროდუქცია, თოქშოუ, როცა სტუდიაში არხის პოპულარული ან გავლენიანი შოუმენები ერთად იკრიბებიან და მესიჯი კომუნიკაციის ორი ციკლის მეშვეობით ვრცელდება: პირველი ციკლი გულისხმობს შეტყობინების მიმოიქცევას ჯერ შიდა კომუნიკატორებს შორის პირდაპირ ეთერშივე, მის დამუშვებას „მათთვის გასაგებ“ ენაზე, რაც ხშირად მაყურებლისთვის ბოლომდე გასაგები არ არის, შემდეგ კი მისთვის/მათთვის აუდიტორიისთვის გადასაცემი ფორმულირების მიცემა. ანუ, – შედეგის მისაღწევად აუცილებელია ადამიანების ერთობლივი ურთიერთმოქმედება თუ ერთმნეთზე ზემოქმედება (კომუნიკაციური როლების მიხედვით). ეს კი (გრაისი,...) ნიშნავს, რომ მეტყველებითი აქტის მიმდინარეობისას (თოქშოუს მსველობისას) თანამოსაუბრეებს ერთი მიზანი უნდა აერთიანებდეთ, მაშინაც კი, თუ საბოლოოდ და რეალურად მათ სხვადასხვა მიზნები აქვთ; დაუშვებელია, საკომუნიკაციო სტრატეგიის აღრევა მიზანში – დებატები, შეიძლება, შოუს კომპოზიციის და დრამატურგიის ნაწილი იყოს, და ისინი სწორედ რომ შოუს ერთ მიზანს ემსახურებიან.

ამგვარ იდეოლოგიურად დატვირთულ კომუნიკაციურ პროდუქტებს განსხვავებული, თუმცა უკვე შესწავლილი და ტიპურად მიჩნეული, მეტყველებითი ნიშან-თვისებები გამოარჩევს (Weaver&Willnat, 2013). ესენია: (1) „სისტემის ადამიანები“/სისტემური დისკურსი: ამ დისკურსის მიმდევრები გულმოდგინედ ემზადებიან საჯარო გამოსვლისთვის; მათ მიერ მოხმობილი მაგალითები კონკრეტულია, მათი ციტატები – ზუსტი და სრული, ისინი უხვად მოიხმარენ ფაქტებსა და ციფრებს. მეტყველების ექსტრალინგვისტური მახასიათებლების მიხედვით, მათი მეტყველება მშვიდია, მშრალი და ხშირად არაგამომსახველობითი, ხუმრობებსა და მეტაფორებს იშვიათად მიმართავენ. მიიჩნევა, რომ მიუხედავად კომუნიკატორის კარგი მომზადებისაა, თანამედროვე თოქშოუებისთვის ეს ტიპი რისკის შემცველია, რადგან არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ფართო აუდიტორიას ამგვარი მეტყველების მიმართ ინტერესი, შეიძლება, მალე

დაეკარგოს, თუ წამყვანი ზუსტად არ დაიცავს მოქმედებების წინასწარ გაწერილ ალგორითს.

(2) „მოაზროვნეები“: უყვარს ხმამაღლა ფიქრი და განსჯა, მაგრამ მათ გამოსვლებს აკლია სიმსუბუქე და არტისტიზმი. „მოაზროვნეები“ მიდრეკილნი არიან თვალსაჩინოების გამოყენებისკენ. მათ, როგორც წესი, არ ადარდებთ ის შთაბეჭდილება, რომელიც, მათ, შეიძლება, მაყურებელზე მოახდინონ. (3) მესამე ტიპი - „პოეტები“; „პოეტებს“ მდიდარი ლექსიკური მარაგი და ენის, დისკურსის გამძაფრებული გრძნობა აქვთ. უხვად მოიხმარენ მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, ალეგორიებს და სხვა გამომსახველობით საშუალებებს. „პოეტების“ სუსტი წერტილია ფორმატული ჩარჩოები და ინფორმაციასთან მუშაობის ხისტი გეგმა. (4) მეოთხე ტიპი ¬– „ბელადები“; ენერგიული, აღმაფრენით აღსავსე ორატორები. კომუნიკატორის ეს ტიპი თავის საეთერო გამოსვლებს აგებს უნაკლო არგუმენტაციასა და შთამებეჭდავ ცხოვრებისეულ მაგალითებზე. თუმცა, ამ ტიპის კომუნიკატორის გამოსვლა ჩავარდნად იქცევა, თუ თვითონ მას თემა არ აინტერესებს.

დისკურსისა და კრიტიკული დისკურს-ანალიზის შესახებ

დისკურსულ ანალიზს განვიხილავთ როგორც მეტყველების სოციალურ ანალიზს. როგორც მისი ფუძემდებელი ნორმან ფეარკლაფი (Norman Fairclough, 1992, 2001) აღნიშნავს, „კრიტიკული დისკურსული ანალიზი“(CDA) თავის თავში მოიცავს განსხვავებული მიდგომებს დისკურსის სოციალური ანალიზის მიმართ“. ამავე ხედვას ვხვდებით ფეარკლაფთან და ვოდაკთან , პეშესთან, ვოდაკთან და მეიერთან (Fairclough & Wodak, 1997; Pêcheux M., 1982; Wodak & Meyer, 2001), თუმცა ისინი, კონცეპტუალური ერთობის მიუხედავად, ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფუძემდებლური თეორიების, მეთოდოლოგიისა და იმ კვლევითი პრობლემების მიხედვით, რომლებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

ფეარკლაფი ამტკიცებს, რომ დისკურსი სოციალური პრაქტიკის ქვეჯგუფია. ფეარკლაფი თავის წიგნში „დისკურსი და სოციალური ცვლილები” გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დისკურსი ადამიანებს სოციალური ურთიერთობების დამყარებაში ეხმარება (Fairclough,

1993). მეორეს მხრივ, დისკურსი ხელს უწყობს სტრუქტურების ხელახლა ფორმირებას, შეცვლას და გარდაქმნას. ეს სტრუქტურები წარმოადგენს დისკურსის თანრიგებს, წყობას, კოდებსა და ელემენტებს, ანუ ისეთ ერთეულს, როგორიც არის ლექსიკა (Fairclough, 1995). იუ და ჟენი, ავითარებენ რა ფეარკლაფის თეორიას, წერენ, რომ მედიაში დისკურსის წარმოდგენა, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც იდეოლოგიური პროცესი, რომლის გასაანალიზებლად სამი განზომილება გამოიყენება, ესენია: ტექსტის ანალიზი, დისკურსული პრაქტიკა და სოციალური პრაქტიკა (Yu & Zheng, 2022). აღნიშნული განზომილებები ცნობილია, ასევე, როგორც აღწერა, ინტერპრეტაცია და ახსნა.

ფეარკლაფის მიხედვით, ტექსტის ანალიზი ოთხ ნაწილად იყოფა, ესენია: ლექსიკა, გრამატიკა, კავშირი და ტექსტის სტრუქტურა. ლექსიკა კონკრეტულ ტექსტურ ტერმინებს ნიშნავს, სიტყვიერ-აზრობრივ მასივს, რომლის ცალკეულ ერთეულებს მეტყველებისას მოვიხმართ. სიტყვების გაერთიანება წინადადებაში, ან წინადადებებად, განსაზღვრული და დადგენილი წესების მიხედვით, გრამატიკაა. პუნქტებსა და წინადადებებს შორის ურთიერთმიმართება ცნობილია, როგორც კავშირი. ტექსტის სტრუქტურა ფოკუსირებულია ტექსტების ფართომასშტაბიან ორგანიზაციულ მახასიათებლებზე (Fairclough, 1993).

რაც შეეხება დისკურსულ პრაქტიკას, ტექსტის წარმოება, გაცრცელება და მოხმარების პროცესები მისი ნაწილებია (Fairclough, 1993). ინტერპრეტაციის ეს პროცესი ოთხი ეტაპისგან შედგება, ესენია: გამოთქმის ზედაპირი (გარსი), გამოთქმის მნიშვნელობა, ლოკალური კავშირი და ტექსტის სტრუქტურა და საკითხი. გამოთქმის მნიშვნელობა სიტყვების მნიშვნელობის წარმოქმნას ეხება, ასევე, მათ უნარს, გააერთიანონ სიტყვა-მნიშვნელობები და გრამატიკული ინფორმაცია და შეიმუშაონ იმპლიციტური მნიშვნელობები, რათა მნიშვნელობა მთელმა წინადადებამ შეიძინოს. გამოთქმებს შორის კავშირები, რომლებიც იწვევს წყვილებისა და მათი თანმიმდევრობის ლოგიკურ ინტერპრეტაციას, წარმოდგენილია როგორც ლოკალური კავშირი. ტექსტის სტრუქტურა და საკითხი ეხება ტექსტის მთლიან ფუნქციონირებას.

რაც შეეხება სოციალურ პრაქტიკას, იგი ნიშნავს დისკურსის ახსნას, როგორც სოციალური პროცესებისა (Fairclough, 2001). აღნიშნულ პროცესში დიდი როლი უჭირავს ძალაუფლებასა და იდეოლოგიას, რაც ნიშნავს ცნობიერი და არაცნობიერი იდეების, რწმენებისა და მოსაზრებების ერთობლიობას, რომლებსაც საზოგადოების მმართველმა კლასმა დაუდო სათავე და დისკურსულ მიმოქცევაში შეინარჩუნა (Yu & Zheng, 2022). ფეარკლაფი ამტკიცებს, რომ ეს იდეოლოგიები ერთმანეთთან აკავშირებენ ტექსტების ლექსიკას, სინტაქსს, სტრუქტურას, მეტაფორასა თუ სხვა ელემენტებს (Fairclough, 1993).

ფეარკლაფისა და მისი მიმდევრების ეს თეორიული დაშვებები ტელეწამყვანების მეტყველებით აქტებზე რომ განვავრცოთ, რომლებიც უშუალოდ მათი იმიჯის და როლური მოდელის შექმნის მთავარ ელემენტს წარმოადგენენ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ თანამედროვე ტელეწამყვანების როლური მოდელი დიდწილად დამოკიდებულია: მათი საუბრის შინაარსზე, მათი საუბრის მანერაზე, წარმოთქმაზე, რასაც თან ახლავს ექსტრალინგვისტური მახასიათებლები, ქცევასა თუ ქმედებებზე (ანუ არავერბალურ კოდებზე), რაც შემდგომ კონკრეტული გადაცემის შეცნობაში მეტად გვეხმარება.

კვლევის დიზაინი

კვლევითი შეკითხვა: როგორია კომუნიკატორების საავტორო პროექტებში მათი როლური მოდელის იდენტიფიცირება; როგორია კომუნიკატორის ანუ წამყვანის დამოკიდებულება განსახილველ თემებთან დაკავშირებით; როგორია კომუნიკაციის ორი ციკლი - შიდა სტუდიური და გარე, აუდიტორიასთან მიმართებით.

კვლევის ამოცანა: ზემოთხსენებული როლური მოდელების შემადგენელი ელემენტების გამოყოფა: თემები, მათი საზოგადოებრივი თუ პიროვნული ინტერესით განპირობებული აქტუალობა;

კვლევის მიზანი: დისკურსულ და არადისკურსულ მახასიათებლებზე დაყრდნობით გამოვკვეთოთ თანამედროვე ტელეწამყვანის იმიჯის ფუნქციონირების აქტუალური ტენდენციები ორი თოქ-შოუს - ტელეკომპანია ფორმულას გადაცემა „მრგვალი მაგიდისა“ და ტელეკომპანია პოსტ ტვ-ის გადაცემა „სამნი &Co-ს“ მაგალითზე.

ამოცანად ვისახავთ, შევისწავლოთ და გავაანალიზოთ იმიჯის და კომუნიკაციური როლების/ამპლუების მთავარი შემადგენელი ელემენტები, ფუნქციური დატვირთვა, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ იმიჯისა და კომუნიკაციური როლის სიცოცხლისუნარიანობას.

კვლევის აქტუალურობა თოქ-შოუს ჟანრის პოპულარულობით, აღნიშნული გადაცემების მაღალი რეიტინგებით და ნიშანდობლივი სტატუსით არის განპირობებული. ამ ორი არხის არჩევა განპირობებულია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მათ მიერ ღიად გაცხადებული პოლიტიკური პარალელიზმით, ხოლო საკუთრივ გადაცემები კი საინტერესოა წამყვანების არა მხოლოდ რაოდენობრივი პარამეტრით, არამედ იმ თვისებრივი მახასიათებლითაც, რომელსაც ეს რაოდენობა ქმნის. არხის პოლიტიკის გამჟღერებელი პირების რაოდენობა – მათ შორის მკაფიოდ გამიჯნული ფუნქციებით –აჩენს მოლოდინს, რომ ეს არ არის სტუდიის შიგნით პლურალიზმის ხელშეწყობა ან მოდელირება, არამედ ეს არის გარკვეული მასინქრონიზებელი ინსტრუმენტი, რომელიც სარედაქციო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი მესიჯების გაძლიერებას უწყობს ხელი.

კვლევის პროცესში ორი მედიასაშუალების გადაცემებს დავაკვირდით, ესენია ტელეკომპანია ფორმულას გადაცემა „მრგვალი მაგიდა“ და ტელეკომპანია პოსტ ტვ-ის გადაცემა „სამნი &Co-ს“. აღნიშნული გადაცემები ანალიტიკურ-პოლიტიკურია, რომელთა წამყვანები აქტუალური თემების შესახებ და გამო საუბრობენ. „მრგვალი მაგიდის“ შემთხვევაში სამი წამყვანი სტუმრებთან ერთად განიხილავს მიმდინარე აქტუალურ ამბებს, ხოლო „სამნი & Co-ს“ შემთხვევაში, კვლავ სამი წამყვანია, თუმცა ისინი მხოლოდ ერთმანეთთან საუბრობენ და განიხილავენ მიმდინარე ამბებს სხვადასხვა მედიასაშუალებებიდან ამოჭრილი პოლიტიკური განცხადებების ფონზე.

კვლევის პერიოდია 2023 წლის 1 იანვრიდან 31ივლისის ჩათვლით.

თითოეული თოქ-შოუდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არის აღებული ოთხ-ოთხი გადაცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე თოქ-შოუს შემთხვევაში სამ-სამი წამყვანია, რომელთაგან „მრგვალი მაგიდის“ წამყვანები არიან: ნინო მაჭარაშვილი, სალომე უგულავა, აკა ზარქუა/ირაკლი კიკნაველიძე.
რაც შეეხება „სამნი&Co-ს“, გადაცემას სტაბილურად სამი წამყვანი ჰყავს, ესენია: შალვა რამიშვილი, ბაჩო ოდიშარია და გური სულთანიშვილი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ დისკურსული და არადისკურსული, ვერბალური და არავერბალური კოდების კონტენტ-ანალიზი; კრიტიკული დისკურს-ანალიზი.

მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების სახელმღვანელოს მიხედვით (მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, 2019.), კონტენტ-ანალიზი ის თავისებური, განსაკუთრებული საკვლევი მეთოდი და ტექტიკაა, რომელიც კომუნიკაციის კვლევის სფეროში დიდი სიხშირით გამოიყენება. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით სანდო შედეგების მიღებაა შესაძლებელი. „კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს მედიური და კომუნიკაციური დისკურსის შემადგენელი ცალკეული, ვერბალური და არავერბალური, განსაზღვრული შინაარსის მქონე სტიმულების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს“ (მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, 2019. მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები). ამავე სახელმღძღვანელოს მიხედვით, დისკურსული ანალიზი, იგივე ჟანრული/მეტყველებითი ანალიზია, რომელიც მედიატექსტის ანალიზის სამი განშტოებიდან ერთ-ერთია. „კლასიკური ჟანრული ანალიზი ნიშნავს ნიშანდობლივის შეპირისპირებას ცნებობრივ, ანუ განზოგადებულ თეორიულ მოდელთან, სქემასთან. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მკვლევარს შეუძლია კრიტიკულად გადახედოს რეპორტაჟის თეორიასა და პრაქტიკას სხვადასხვა მედიაკულტურაში“ (მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, 2019. მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები).

ხათუნა მაისაშვილის ხელნაწერის უფლებით არსებული სახელმღვანელოდან „კომუნიკაციის თეორიის შესავალი“ ვიგებთ, რომ კომუნიკციის ორ ტიპიდან არავერბალური კომუნიკაცია ვერბალურზე მეტად უნივერსალურია, რადგან ამ უკანასკნელის გამოყენებით ჟესტური მოძრაობებით, მიმიკებით, ხელების და თვალის გამოყენებით ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია. აღსანიშნავია, რომ ორივე სახის კომუნიკაცია ძალზედ მნიშვნელოვანი და გამოყენებადია. „უპირველესად, ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას ერთმანეთისგან განასხვავებს იმ კოდების ბუნება, რომლითაც ისინი ოპერირებენ: ვერბალური ოპერირებს სიტყვებით, მეტყველებითი სტრუქტურებით, ხოლო მეორე იყენებს არასიტყვიერ ერთეულებს.“ **არავერბალური კომუნიკაციის ათი კოდი წარმოადგინა არჯაილმა (Argyle, 1972), რასაც კვლევისას ვიყენებთ, ესენია: „სხეულებრივი კონტაქტი, სიახლოვე, ორიენტაცია, გარეგნობა, თავის ქნევა, სახის გამომეტყველება, ჟესტები, პოზა, თვალის მოძრაობა და თვალით კონტაქტი, მეტყველების არავერბალური ასპექტები“. თუმცა არსებობს ამ ორი კოდის სინქრონიზაცია, რომლის დროსაც არავერბალური ელემენტი აძლიერებს ვერბალურს.**

ჩვენ მიერ არჩეული დისკურსული მეთოდი გულისხმობს შეტყობინების შინაარსზე დაკვირვებას კომუნიკაციის ორ ციკლში. მათ პირობითად მცირე და დიდი ციკლები ვუწოდეთ. კომუნიკაციის მცირე ციკლი არის შეტყობინების მიმოქცევა საკუთრივ სტუდიაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში სპეციფიკური მეტყველებითი კოდებით გადმოიცემა, რაც, შესაძლოა, მხოლოდ ამ მცირე ციკლის მონაწილეეებისთვის იყოს ბოლომდე გასაგები; ხოლო დიდი ციკლი არის შეტყობინების მიმოქცევა სტუდიასა და მიმღებ აუდიტორიას შორის., როცა შეტყობინება მცირე ციკლი ს შემდეგ სხვა სიტყვებით (სხვა გრამატიკით, - ფეარკლაფის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ) გადმოიცემა.

კვლევის შედეგები

„მრგვალი მაგიდა“

ტელეკომპანია *ფორმულას* ანალიტიკურ-პოლიტიკური გადაცემა „მრგვალი მაგიდა“ *ფორმულას* ეთერში ყოველ ხუთშაბათს, 22:30 საათზე პირდაპირ ეთერში გადის დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაში. იანვარი-ივლისის განმავლობაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დავაკვირდით 4 გადაცემას: 26 იანვრის, 16 მარტის, 4 მაისისა და 20 ივლისის გადაცემებს. თოქ-შოუში ძირითადად განიხილავენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და მათ შესახებ და ირგვლივ შექმნილ პოლიტიკურ განწყობებს. თოქ-შოუს სამი წამყვანი უძღვება - ნინო მაჭარაშვილი, სალომე უგულავა და აკა ზარქუა ან ირაკლი კიკნაველიძე. გადაცემის სახელს ამართლებს სტუდიის ვიზუალკური დიზაინი, რადგან თოქ-შოუს მონაწილეები მრგვალი მაგიდის ირგვლივ სხედან. გადაცემა ორ ბლოკად არის დაყოფილი და თითოეული ბლოკი ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება. წამყვანები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ შეკითხვების დასმით, ისინი ერთვებიან დისკუსიებში, თავს არ იკავებენ ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობის გამოსახატვისგან, აფიქსირებენ საკუთარ აზრს გარკვეულ საკითხებზე და გადაცემისთვის შერჩეულ თემებზე სასაუბროდ მომზადებულნი არიან, როგორც კითხვებით, ისე საკითხის წინასწარი ცოდნით. გადაცემის სტუმრები უმეტესად საკითხში გაცნობიერებული პირები არიან – მკვლევრები ან ოპოზიციის წევრები; არც ერთ გადაცემაში არ ყოფილა მიწვეული ხელისუფლების წარმომადგენელი. დიდი ალბათობით, თავად ფორმატის სპეციფიკა გვაფიქრებინებს, რომ „მრგვალ მაგიდას“ ამის განზრახვაც არ ექნებოდა, რადგან იგი თავისი დრამატურგიით არ უშვებს იდეოლოგიურ დისონანსს, – პირიქით, აქ დისკუსიაში ხანდახან გამომკრთალი აზრთა სხვადასხვაობა უფრო მეტად ერთი პოზიციის გამყარებას ემსახურება, მის რეზონირებას ზოგადსტუდიურ განწყობასთან, მცირე ეჭვის უკუგდებას განსახილველი საკითხის შესახებ. რაც შეეხება ექსტრალინგვისტურ მახასიათებლებს, ირონია ტონალობის დონეზეც კი შესამჩნევია ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაში. გადაცემათა ბლოკები გამოირჩევა მათი სახელწოდებებით, რადგან უმეტესობა

პოლიტიკურია ან დისკუსიისას პოლიტიკას აუცილებლად რთავენ წამყვანები ნებისმიერ თემაზე საუბრის დროს. 26 იანვრის გადაცემის ბლოკების დასახელებებია - *„ქართულ" ცათამბჯენები", ,,რა ხდება სკოლებში?"*, 16 მარტის გადაცემის - *,,ზეწოლა აკადამიაზე", ,,სპორტი და პოლიტიკა არ გაიმიჯნა"*, 4 მაისის გადაცემის – *,,ღარიბაშვილის ფარისევლობა", „უკრაინის მზადება კონტრშეტევისთვის"*, 20 ივლისისას - *,,ემიგრაცია - მწვავე სოციალური პრობლემა"* და *,,ვითარება ისტორიულ ტაო-კლარჯეთში".*

აღსანიშნავია ასევე გადაცემის ქუდიც, რომელშიც პოლიტიკური თემები სურათებით ან ვიზუალური, გრაფიკული კოლაჟებით არის გამოტანილი; ამ ვიზუალურ რიგს გამოარჩევს სატირა - მათში გაშარჟებული არიან არამხოლოდ მოქმედი პოლიტიკოსები „ქართული ოცნებიდან" , არამედ ბიძინა ივანიშვილიც.

ქუდის დასრულებისთანავე გადაცემის წამყვანები იწყებენ საუბარს განსახილველი თემის შესახებ თითოეული მათგანისთვის განკუთვნილი გამოსვლის შესავალი ნაწილით. ზოგჯერ მეტყველებითი სტრუქტურის ჟღერადობა ქმნის ნეიტრალური მედიანაალიზის ილუზიას, თუმცა თემის სიღრმეში შესვლის კვალობაზე მაყურებლისთვის საცნაური ხდება კომუნიკატორის მიკერძოებულობა როგორც თემის, ისე მასში მოხსენიებული პირების მიმართ. ნეიტრალურად დამოკიდებულებაც გამოსჭვივის მონაკვეთში .

გადაცემის მსვლელობისას სტუმრების ციტატები გამოდის ეკრანზე და რამდენჯერმე მეორდება, უმეტესად იმეორებენ პოლიტიკურ განცხადებებს.

ჩვენ მიერ არჩეული თვისებრივი კონტენტ-ანალიზის ფრეიმების მიხედვით იკვეთება ასეთი სურათი:

ვერბალური: რაც შეეხება წამყვანების მეტყველებას, ლექსიკას, ისინი უმეტესად ცდილობენ მშვიდი ტონით, ენობრივად თითქმის ნორმატიულ ფარგლებში, ბარბარიზმების გარეშე, მეტ-ნაკლებად გამართული ლექსიკით გამართონ დისკუსია სტუმრებთან ერთად. თუმცა, იგივე ლექსიკაში გვხვდება ექსპრესიული, არავულგარული და არაუხეში, თუმცა „ჩაღრმავებული" ცინიზმით სავსე გამონათქვამები, რასაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გიჩვენებთ. ერთმანეთთან მიმართებაში წამყვანებიდან არცერთი

არ ცდილობს დომინანტობას, კითხვებსაც თითქმის თანაბრად სვამენ და დისკუსიაშიც თანაბრად ერთვებიან.

26 იანვრის გადაცემა: გადაცემის პირველი ბლოკიდან *„ქართულ ცათამბჯენები“* გამოვყოფთ რამდენიმე მაგალითს წამყვანების მეტყველებიდან. აკა ზარქუა სტუმარს კითხვას უსვამს [სტილი დაცულია]: *,,აი, თაზოსთან მინდოდა ზუსტად ამ თემაზე გადმოსვლა, აი, ჩვენ ვიცით როგორ ხდებოდა, ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილის პროექტების დამტკიცება წარსულში, მათ შორის ვიცით, რომ ხელისუფლების გარკვეული პირები, მათ შორის თბილისის მერსაც ჰქონდა ინტერესი ეკონომიკური, ერთი პერიოდი, – როგორც მინიმუმ წარსულში, აი, ამ სამშენებლო ბაზარზე, აი, რას გულისხმობს ეს ყველაფერი, ანუ რას გვეუბნება დარჩა თუ არა ადგილი საერთოდ ამ ბიზნესში, მშენებლობების ბიზნესში იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ არიან ხელისუფლებასთან დაახლოებული, შეუძლიათ თუ არა მათ თავიანთი ბიზნესინტერესი, ვთქვათ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, რაღაცნაირად დაიცვან და მიაღწიონ წარმატებას და რჩება თუ არა საერთოდ სივრცე, ვთქვათ, რაღაცა პატიოსანი კონკურენციისთვის, მათ შორის თბილისზე რომ ვისაუბროთ, მაგრამ მგონია, რომ ქვეყანაზეც შეიძლება ვთქვათ, აი, ამის გავრცელება, არამგონია, რომ დიდად განსხვავებული ვითარება იყოს რეგიონებში თუ უარესი არა”* – ამ შეკითხვაში ჩანს თემა დ საკითხი, რომელიც აინტერესებს ჟურნალისტს, სამშენებლო ბიზნესში შეღწევის შესძლებლობა დაინტერესებული პირისთვის, რომელიც არ არის დაკავშირებული ხელისუფლებასთან. წინადადებები სინტაქსურად გამართული არ არის, დარღვეულია სინტაქსური წესრიგი, რაც მოსმენისას ნაკლებად აღიქმება, თუმცა მაინც მიუთითებს წამყვანის ემოციაზე.

ამავე დისკუსიაში ერთვება სალომე უგულავაც, რომლის რეპლიკაც ზარქუას ვრცელ შეკითხვას ანდაზასავით მოკლე ირონიული დასკვნით აჯამებს ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს: *„თამაშის წესების აუცილებელი პირობაა, რომ ხელისუფლებასთან იყო დალაგებული“.*

მსგავსი მაგალითია, ასევე უგულავას შეკითხვაშიც სტუმრის მიმართ: *,,სოფისთან რომ გადავიდეთ, რა შეიძლება გაკეთდეს ამის წინააღმდეგ, ამაზეც რომ ვისაუბროთ, რაღაცნაირად ვნახულობთ პროტესტს, რომელშიც მონაწილეობენ ურბანისტები, არქიტექტორები, ზოგჯერ საზოგადოების ნაწილი, მაგრამ შედარებით მცირე ჯგუფები ხოლმე, აქაც ველით კი, რომ იქნება დიდი პროტესტი? თუ კიდე ერთხელ გაუვათ, რო ვიღაცა თითქოს დგას ზემოდან, უი, აქ რა კარგი იქნება მე, რო აქ ავაშენო და მოდი მერიამ ეს გააკეთოს და ესე რო მოწყობა ხდება…"*

ხედვის რაკურსის ცვლილება საკმაოდ ეფექტური ხერხია ზოგადი თემის დავიწროებისთვის და მისთვის კონკრეტიკის შეძენით – მაგალითად, სალომე უგულავა გადაცემის მსვლელობისას აწყვეტინებს სტუმარს საუბარს: *,,თაზო, ბოდიში უკიდურესად შემოსავლიან სფეროზე რომ ვსაუბრობთ ყველა ვთანხმდებით, განსაკუთრებით, გაძლიერებული მოთხოვნის ფონზე და რა უქნეს ადამიანს, რომელსაც სულ რაღაც 300 ლარი ქონდა შემოსავალი, ლაგუნა ვერეს თანამშრომელზე მაქვს საუბარი, ამის გამო, ჟურნალისტებს აჩვენა რა ხდება ლაგუნა ვერეს ტერიტორიაზე."*

სტუმარი საუბრობს საჯარო ჩართულობაზე, რაზეც ნინო მაჭარაშვილი პასუხობს: *,,ხო, კალაძეც ამბობს, რო ეს მოხდება, საჯარო ჩართულობა, თუმცა ფორმალობის სახე აქ ხოლმე შემდეგ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს"*შემდეგ სტუმარი პასუხობს და ისევ ნინო საუბრობს: *„აქტიურობა ძალზედ მნიშვნელოვანია და დასასრულისკენ უნდა წავიდეთ, ირაკლის დავუბრუნდები ისევ, ალბათ ფონდ ,,ქართუზე" კიდევ მეტი რამე უნდა ვთქვათ, გვახსოვს ხო თავის დროზე რა ზარ-ზეიმით გვამცნეს ბიძინას მორიგი მეცენატური აქტის შესახებ (იღიმის), როდესაც მან თავის ქონება გადასცა საქველმოქმედოდ ამ ფონდს, დღეს რაში მდგომარეობს ამ ფონდის ბიზნესინტერესები? როგორ შეგვიძლია ეს დავახასიათოთ"*

გადაცემის წამყვანები ცდილობენ საქართველოს ხელისუფლების მაქინაციასთან ასოცირებას, ასევე რუსეთის ხელისუფლებასთან შედარებას, რაც ხშირად გამოიკვეთა, მაგალითად: სტუმარი ირაკლი აბესაძე ამბობს, რომ *,,ანგარიშები გასაიდუმლოებულია და რატომ არის გასაიდუმლოებული კვერცხი და ქათამივით ამბავია…"*სალომე აწყვეტინებს:

,,ხო იმიტო,რო მაქინაციაა" (ეცინება). აკა: *,,სხვათაშორის ეს საქველმოქმედო ფონდები ხშირად გამოიყენება, მათ შორის, ვთქვათ რაღაცა ესეთი ბიზნესებისთვის, მათ შორის რუსეთშიც ძაან გავრცელებული პრაქტიკა არი, რამდენადაც ვიცი."*

რაც შეეხება 26 იანვრის გადაცემის მეორე ბლოკს *„რა ხდება სკოლებში?"* ასევე, გამოიკვეთება წამყვანების პოლიტიკური მხარე და ხელისუფლებისადმი კრიტიკა, ასევე წამყვანების ლიდშივე თავიდანვე ჩანს ოპოზიციისადმი კარგი განწყობაც. სალომე: *,,გადაცემა პირდაპირ ეთერში ბრუნდება, წალენჯიხის ოპოზიციური მერია მუნიციპალიტეტის სკოლებში პირველ კლასელების კვების დაფინანსების პროგრამას აანონსებს, როგორც ცნობილია, პროგრამას დაახლოებით 200000 ლარის ბიუჯეტი ექნება, რაც სამას მოსწავლეზეა გათვლილი, ამით წალენჯიხა გახდება ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომელიც საქართველოში პირველ კლასელებს კვების პროგრამას სთავაზობს"* ნინო: *,,მსგავსი პროგრამები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მუშაობს, თუმცა არა საქართველოში. იდეა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ ,,ნაციონალურმა მოძრაობამ" წამოაყენა, საკითხს მაშინ დიდი რეზონანსი მოყვა, რაც ღარიბ ქვეყანაში გასაკვირი არც არის, თან კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნის მასშტაბით ბავშვების უმრავლესობას ხანდახან ან მუდმივად შია."* აკა: *,,ამ საბაზისო საჭიროებების გარდა ბავშვებს სკოლაში უამრავი გამოწვევა აქვთ: ძალადობა, შეურაცხყოფა, სხვადასხვა ნიშნით ჩაგვრა - სასკოლო ცხოვრების მტკივნეული ნაწილებია. რას ნიშნავს უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა ბავშვებისთვის? იდგმება თუ არა ამისკენ ნაბიჯები? ახსოვს თუ არა ხელისუფლებას ბავშვები? ამ და სხვა თემებზე ვისაუბრებთ ჩვენს სტუმრებთან ერთად..."*

ირონია ჩანს ამ პატარა დისკუსიაშიც კი, როდესაც სტუმარი სალომე ჩარკვიანი ამბობს, რომ თუ უნახავთ ბოლოს როდის გააკრიტიკეს საქართველოს განათლების მინისტრი? თან იცინის. აკა პასუხობს: *,,არასდროს. ვფიქრობ, სახელს და გვარს… ა, გამახსენდა."* ნინო: *,,ხო ნუ არ არის რაღაც ჩვეულებრივი და."* აკა: *,,ერთხელ გათავისუფლებული და მერე დაბრუნებული თუ არ ვცდები ხო."* ნინო: *,,ერთი რამე მახსოვს, ბიძინას როგორ აქებდა, ექვთიმე თაყაშვილი თუ რაღაც მაგით."* აკა: *,,ეგ ალბათ ყველაზე მთავარი განცხადებაა."*

სალომე: *,,არასდროს არ მოგვისმენია მისი ხედვა, ალბათ, იმის შესახებ, ნუ ყოველ შემთხვევაში, შეიძლება სადმე გამოდის და საუბრობს ხოლმე, მაგრამ საჯაროდ ნამდვილად არ იწუხებს თავს იმის ახსნით თუ როგორ წარმოუდგენია განათლების რეფორმა.“*

16 მარტის გადაცემა: *„ზეწოლა აკადამიაზე“* - გადაცემის პირველი ბლოკიდან რამდენიმე შემთხვევას გამოვყოფთ ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებას, კრიტიკასა თუ ირონიას. მაგალითად წამყვანების ლიდებიდანაც ჩანს, აკა: *„მასობრივი პროტესტის შედეგად რუსულ კანონზე იძულებითი უკან დახევის შემდეგ ,,ქართული ოცნება" ახალ სამიზნეებს ირჩევს, ამჯერად შეტევის პირდაპირი ობიექტი აკადემიური სივრცე - ლექტორები და სტუდენტებია. ასევე, უნივერსიტეტებთან დაკავშირებული სადისკუსიო-საგანმანათლებლო სივრცეები გახდა. ,,ქართული ოცნების,, პროპაგანდის მიხედვით სტუდენტებმა(შეასწორებს) სტუდენტები მინიმუმ მოტყუებულები და გამოყენებულები არიან, ზოგი კი სხვადასხვა წახალისებით მოსყიდული ლექტორებისგან თუ პარტიებისგან. მმართველი პარტია ასე ცდილობს ახსნას თუ რამ გამოიწვია სტუდენტების სამართლიანი პროტესტი, რომლის ნაწილიც იყო ბოიკოტი იმ ლექტორების მიმართ, ვინც რუსულ კანონპროექტს უჭერდა მხარს, თუმცა ახსნის გარდა ,,ქართული ოცნების" რევანშისტული რიტორიკა და რეპრესიებისკენ მიდრეკილება მოსალოდნელ ანგარიშწორებაზეც აჩენს ეჭვებს."* სალომე: *,,რევანშისტული რიტორიკის ვიდეო შეგვიძლია ვნახოთ"*(იღიმის ირონიულად). ეთერში უშვებენ ქართული ოცნების წევრების ვიდეოკოლაჟს: ირაკლი კობახიძის ვიდეოს ბრიფინგიდან, შემდეგ შალვა პაპუაშვილის ვიდეოა, ასევე, მამუკა მდინარაძის, ირაკლი ღარიბაშვილის, რომლებიც საუბრობენ რომ სტუდენტებს იყენებენ და ა.შ. სალომე აგრძელებს საუბარს: *,,რევანშისტული რიტორიკის ნაწილია ხელისუფლებაზე გაბრაზებული პროდასავლური განწყობის ადამიანებისთვის ფაშისტების წოდება და ე.წ. ლიბერალური ფაშიზმისკენ მითითებაც. ლიბერალური ფაშიზმი, რომელიც პრაქტიკაში არ არსებობს პუტინისტური ტერმინია და იქაური რეჟიმი მას წლებია ანტიდასავლურ რიტორიკაში იყენებს, როგორც ჩანს ტერმინის მოსკოვური პროპაგანდისგან პირდაპირი დაკოპირება მოხდა, ისევე როგორც ახალგზარდებისთვის*

სატანისტების წოდების, ამ გზით ძალაოფლებაში მყოფი ძალა ცინიკურად ცდილობს ოპონენტები დაადანაშაულოს მისი თავისუფლების შეზღუდვასა და ზეწოლაში, კიდევ ერთი ვიდეო ვნახოთ." - კიდევ ერთი მაგალითი ხელისუფლების რუსეთთან გაიგივებისა და მათზე ურყოფითი განწყობის გამოხატვის.ისევ ,,ქართული ოცნების" წევრების ვიდეოკოლაჟს უშვებენ, სადაც ისინი ფაშიზმსა და ანარქისტებს ახსენებენ საუბრისას: ირაკლი ღარიბაშვილი, მამუკა მდინარაძე, შალვა პაპუაშვილი, ირაკლი კობახიძე - ამ ვიდეოებით გადაცემა არხის პოლიტიკური მხარის წარმოჩენას ცდილობს, რადგან საზოგადოებას დაანახოს კრიტიკული განწყობა ხელისუფლებისადმი. ნინო აგრძელებს საუბარს: *,,არის თუ არა მოსალოდნელი რეპრესიების ახალი ტალღა, როგორ უნდა გაუმკლავდეს საგანმანათლებლო სივრცეები გაძლიერებულ ზეწოლას, რა ბერკეტები აქვთ სტუდენტებს ორგანიზების და საკუთარი უფლებების დასაცავად, აი, ამ საკითხებზე ვისაუბრებთ დღეს სტუმრებთან, რომლიც რეჟიმმა აქცია პროპაგანდის პირდაპირ ობიექტად"* (აქ იღიმის) - ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულა კვლავ ჩანს.

ასევე იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც წამყვანმა ხმას აუწია სათქმელის დასასრულებლად, მაგალითად სალომემ: *,,ხო, ირაკლიმ რაც თქვა ძალიან ნიშანდობლივი იყო, რაღაც სიტყვების მითვისებას ცდილობენ ხოლმე, როგორც ,,ქართული ოცნება" თუ ასევე ეს პრორუსი ჯგუფები ანუ სიტყვა პატრიოტიზმის ხსენებასაც მგონია, რო არ უნდა მოვერიდოთ, იმიტო რო ეს პროცესი თავისი შინაარსით იყო ძალიან პატრიოტული, რუსეთის წინააღმდეგ და* (აქ ირაკლი (სტუმარი) ცდილობდა ჩართვას, მაგრამ სალომემ ხმას აუწია რომ დაესრულებინა) *ამას ხაზი უნდა გავუსვათ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ადამიანები არიან ამ ქვეყნის პატრიოტები და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ერთ რამეზეც რომ ვილაპარაკოთ ირაკლი და სანდროსთანაც გვექნება ეს კითხვა, შენ ახსენე, რომ მეტი აქტიურობა უნდა იყოს, გარდა ამ საკითხისა, რაც ჩვენ ვნახეთ, სხვა თემებზე თითქოს ,,ქარული ოცნება" ბრჭყალებში რომ ვთქვათ მშვიდად იყო აქამდე, სტუდენტურ აქტივიზთმთან მიმართებით და ახლა ძალიან შეშფოთდა, რო როგორ სტუდენტებს პოლიტიკაზე ელაპარაკებიან"*

გადაცემის სტუმარი მარიამ გერსამია საუბრისას ამბობს, რომ თუ აქამდე რომელიმე ლექტორი პრობლემას წამოჭრიდა და იქ გაერეოდა პოლიტიკოსი იმ წუთში ეუბნენოდნენ რომ „აი თქვენ ნაცები ხართ…“, რაზეც სალომე პასუხობს: ,,პროპაგანდა და ზეწოლა მუშაობს აქამდე" - ამით კიდევ ერთხელ გამოთქვამს ხელისუფლებისადმი კრიტიკას, მსგავსი შემთხვევაა ამ მაგალითშიც - ნინო: *,,.. აკადემიაში აქვთ ფორმალური ბერკეტებიც მათ შორის და სტუდენტებზე აქვთ არაფორმალური ბერკეტებიც, რაც სუს-მა შეიძლება, დააშინოს საჯარო სამსახურიდან გაშვებით დაემუქრონ მის ოჯახის წევრს და ასე შემდეგ."* სალომე: *,,ან საშინელი ნიაღვარი პროპაგანდის, რო შენ ფული აიღე, იყო უკვე ასეთი შემთხვევები."*

კიდევ ერთი მაგალითი ხელისუფლებისადმი გაწყობის შესაქმნელად - ნინო: *,,ხო, ნუ მეორე საკითხია ის ცინიზმი, რომ ისინი აქეთ გვეუბნებიან, რომ იარლიკებს გვაკრავთო, მაშინ როცა ეს რუსული კანონი იყო მანიფესტაცია მთლიანად უარყოფითი იარლიკების მიკვრის ხო კონკრეტულ ადამიანებზე"*

ირონია და უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს ხელისუფლებისა და „ქართული ოცნებისადმი" როდესაც სტუმარი მარიამ გერსამია ამბობს, რომ ფრანკლინის კლუბი სწორედ ევროპულ გამოცდილებას აზრიარებს, რაზეც სალომე პასუხობს: *,,ხო, მარა კობახიძე აზიარებს თსუში და ნიკა სამხარაძე? ჰაჰაჰ"*(იცინის ირონიულად). ასევე ირონია ჩანს აკას შემდეგ სიტყვებში ბლოკის დასასრულს: *,,სამუშაო ბევრი გვექნება პროპაგანდის განეიტრალების კუთხით მომდევნო თვეებში".*

რაც შეეხება გადაცემის მეორე ბლოკს *„სპორტი და პოლიტიკა არ გაიმიჯნა"*, რომელიც თავიდანვე პოლიტიკური კრიტიკით და ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობის წარმოჩენით იწყება, სალომე: *„ჩვენნაირ ქვეყნებში ხელისუფლება სპორტს იყენებს პოლიტიკის პროპაგანდად და არამხოლოდ იყენებს, ძალადობის ინსტრუმენტადაც ასევე ცდილობენ სპორტულ გამარჯვებებსაც მიეტმასნონ, როგორც მათ პოლიტიკურ წარმატებას,* (ფონად აჩენებენ სპორტსმენების და პოლიტიკოსების საერთო ფოტოებს), *ამის კარგი მაგალითი ვნახეთ ახლახან, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე გასულ საკალათბურთო*

ნაკრებს ხელისუფლების მაღალჩინოსნები შვილებთან ერთად გასახდელში მიადგნენ და მათ ფონზე დაიწყეს პოზირება.“ მსგავსი საუბარი იყო სტუმართან ერთადაცმ სალომე: *,,ია, ისე წაგებულ თამაშებზე თუ ჩადიან გასახდელებში მინისტრები?”* (იცინის).

ია სართანია (სპორტული ჟურნალისტი) პასუხობს და შემდეგ აკაც ერთვება საუბარში: *,,ისე საბჭოთა დროსაც გვახსოვს ეს რაღაც გასახდელში…”*

ამ ხელისუფლების მოქმედებებს ხშირად რეპრესიებს უწოდებენ წამყვანები, რაც კვლავ გამოიხატება უარყოფით განწყობაში მათ მიმართ, მაგალითად, ნინო საუბრობს: *,,თან დავამატებ, რომ კულტურის სფერო, მაგალითად, წულუკიანის რეპრესიების ფონზე უკვე ამოქოქილი იყო და ველოდით მისგან ძალიან მკაფიო რეაქციას ასეთ სიტუაციაში და ნუ ეს პოლიტიკური სფეროსგან მაინც ახალი იყო.“*

ასევე უარყოფითი განწყობა იგრძნობა შემდეგ მაგალითშიც, სალომე: *„ლევან, შენგან რომ გავაგრძელოთ, ხომ არ ეგონათ თეა წულუკიანს და ,,ქართულ ოცნებას” რომ, აი, სპორტის სფერო ისე ქონდათ დალაგებული, როგორც მათ უნდოდათ, იმიტომ რომ ფედერაციებს და ცალკეულ წარმომადგენლებს წარმატებით იყენებდნენ პოლიტიკურ პროცესში, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ თანაავტორ სპორტსმენებზე ამ კანონპროექტის საერთოდ და დეპუტატებზე, დღეს დავით კაჭარავას გადადგომას ითხოვნენ სხვათაშორის, რაგბის კავშირის თავმჯდომარე ვინც არის“.*

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში ჰომოფობიური გზავნილები არ შეინიშნება არც წამყვანების და არც სტუმრების მიმართ, პირიქით მათი მხარდაჭერა ჩანს, მაგალითად, ნინო: *„..ესე როცა აქტივიზმზე და სპორტზე ვსაუბრობთ კაშიას მაგალითი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ალბათ ხო, გვახსოვს როცა მას ლგბტ სამკლაურის გამო თავს ძაან დაესხნენ და შემდეგ დანარჩენმა სპორტსმენებმა ის დაიცვეს და…”* სალომე აწყვეტინებს: *,,სხვათაშორის მაშინაც იყვნენ შოთი და, შოთი არველაძის ქების ეთერი გამოგვდის, მაგრამ იმსახურებს.“* ნინო: *,,არა ეს მართლა ადამიანის უფლებების ისტორია საქართველოსი, ალბათ რაღაცნაირად თავისი ადგილი იმ ეპიზოდს ექნება, კი ძაან დიდი გავლენა აქვს.”* სალომე: *,,ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი და გურამ კაშია ძალიან დიდხანს იყო მაგის გამო ჩემი*

საყვარელი სპორტსმენი, სპორტი ძალიან მიყვარს და ვერ ვიტყვი, რო რაღაცა აქტივიზმის გამო მიყვარდება ხოლმე სპორტსმენები, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიან გამიჭირდება იმ ადამიანის გულშემატკივრობა, ვისაც აქვს ბერკეტი და ძალაუფლება...“

კვლავ საქართველოს ხელისუფლების შედარება რუსეთთან, აკა: *,,ზოგადად, ესეთი ტიპის რეჟიმები დგას დემობილიზაციაზე ხო, საზოგადოების გათიშულობაზე პოლიტიკისგან და იგივე ვთქვათ რუსეთში გამოკითხულს თუ ნახავთ აბსოლიტური უმრავლესობა ნებისმიერ საკითხზე პასუხისას გეუბნებათ, რომ მე პოლიტიკაში არ ვერევი და აპოლიტიკური ვარ და ეს სახე რეალურად მართლაც გზა, აი, ამ ტიპის რეჟიმის კონსოლიდაციისკენ და სპორტიც მათ შორის ხშირად გამოიყენება ამ მიზნებისთვის რა”*

4 მაისის გადაცემა: გადაცემის პირველი ბლოკის სახელწოდება ,,ღარიბაშვილის ფარისევლობა” უკვე გამოარჩევს გადაცემასა და ტელეკომპანიას ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. ირონია და კრიტიკა ჩანს ლიდებშივე, ნინო: *„ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მაღალი მხარდაჭერისა და ამ გზაზე ხელისუფლების მოქმედებათა შეუთავსებლობის გადასაფარად ივანიშვილის გუნდმა ახალი ტაქტიკა შეიმუშავა, აგენტების რუსული კანონის ჩავარდნა არასწორად შერჩეულ თემას და ცუდად დაგეგმილ პროპაგანდას დაბრალდა, შესაბამისად გადაწყვიტეს საკუთარ ამომრჩეველსა და მთელ ქართულ საზოგადოებას მათი აზრით წაუგებელი თემა შესთავაზონ”* სალომე: *,,მათი ნარატივი ასეთია, ,,ოცნება” ოჯახურ ღირებულებებს იცავს, ცდილობს მომავალი თაობა გადაარჩინოს გარყვნისგან, რასაც ევროკავშირი და ამერიკა გვახვევს თავს, რაც ერთი-ერთში, სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვლადიმერ პუტინის გზავნილებს, ამრიგად სოციალისტების ევროპული ოჯახის წევრმა ,,ქართულმა ოცნებამ” გადაწყვიტა ევროკავშირში სხვა პარტნიორები იპოვოს და უნგრეთის მმართველს ვიქტორ ორბანს დაუკავშიროს თავი, მართალია უნგრეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრია და ჩვენგან განსხვავებით თავი ქუდშიც აქვს, მაგრამ ღარიბაშვილისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს.”* ირაკლი კიკნაველიძე(ახალი წამყვანია, რადგან აკა ზარქუამ დატოვა გადაცემა): *,,სწორედ ესაა ,,ოცნების” ახალი კონცეფცია, დეკლარირებულად ევროკავშირზე უარის*

თქმა არ უნდათ, რადგან ევროკავშირს მათი მხარდამჭერების დიდი ნაწილი ემხრობა, მაგრამ ევროკავშირში, მაგალითად, ისეთი ქვეყანა და მმართველი მონახეს, რომელიც ღიად უკრაინის წინააღმდეგია და არც დასავლეთში მოსწონთ, უბრალოდ საქართველოს უნგრეთიზაცია შეუძლებელია, მიუხედავად მისი დემოკრატიის გამოწვევებისა, უნგრეთი ცენტრალურ ევროპაშია და ყველა იმ მიზნისთვის აქვს მიღწეული, რაც ქართულ სახელმწიფოს აქვს, ამ ახალ და საშიშ პროპაგანდისტულ ხაზზე მის შესაძლო შედეგებსა და ღარიბაშვილის გამოსვლაზე ვილაპარაკებთ დღევანდელ მრგვალ მაგიდაში...“

კვლავ ადარებს წამყვანი საქართველოს ხელისუფლებას რუსულს, სალომე: *,,ხო ეს დეკლარირებული კურსი თავის შინაარსით, თან რუსულია ხო რაღაც, კი აქვთ რეაქცია ამ სიტყვაზე ყველაფერს რუსულს ნუ ეძახითო, მარა ასეთი მკაფიო არასდროს არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა და დღესაც რო ვუყურებდით გამოსვლას, აი, მარტივად შეგვიძლია მოვძებნოთ იმავე შინაარსის გამოსვლები ვლადიმერ პუტინის ოჯახურ სიწმინდეზე შესახებ იქნება თუ სხვა თემებზე. ეთო, შენთან რომ გადმოვიდეთ ხომ არ არის პირიქით ღარიბაშვილისთვის უფრო მოსაწონი შედარებით ფორმაცია ის რომ ორბანს შეადარონ და არა ვლადიმერ პუტინს, აი, რიტორიკულად ერთი-ერთში იმეორებს შინაარსს.“* ასევე, ნინოც საუბრობს ამ თემაზე და კითხვას უსვამს სტუმარს: *„ხო, ზაზა როგორ ცდილობს ,,ქართული ოცნება” რაღაცნაირად ეს დაისახეს თითქოს მიზნად, რომ მიეტმასნონ ევროპულ ულრტრამემარჯვენე ტალღას, პოპოლისტურს, რავი თუნდაც ორბანის სახით, რომ გამოჩნდნენ დიდი ევროპაში მიმდინარე პროცესის ნაწილად და არა აქ რაღაცა პრორუსულ მთავრობად, რამდენად შეიძლება ამან გაამართლოს?“* ასევე ნინო საუბრობს ამ თემაზე რამდენიმე წუთში: *„ხო, ნუ ჩვენმა მაყურებელმა ალბათ იცის, მაგრამ რაღაცნაირად აღვნიშნოთ, რომ თუ სადმე ოჯახის ფასეულობები და ადამიანთა, ბავშვთა უფლებები დაცულია დასავლეთის სამყაროა ხო და არა რუსეთი, საერთოდ რაზე ვსაუბრობთ, ბავშვების დეპორტაციის მუხლით…“*

ამ შეფასებით კი ჟურნალისტი როგორც ბლოკის სახელწოდებისას ღარიბაშვილს ფარისეველს უწოდებს, რაც შემფასებლურია და არხის პოლიტიკურ განწყობასაც ქმნის, ირაკლი: *,,დღევანდელ გამოსვლაში ესეიგი ღარიბაშვილმა საკუთარი თავი და ,,ქართული*

ოცნება" წარმოაჩინა, როგორც ბავშვების გარყვნის და სქესის შეცვლისგან დაცვის, ოჯახის სიწმინდის მოფრთხილების, რწმენის და საქართველოს ქრისტიანული წარსულის და ზოგადად წარსულის დაცვის დამცველ პოლიტიკურ ძალად. ჩვენ მოვამზადეთ პატარა მასალა, მოდი გადავხედოთ, რამდენად ფარისევლური იყო ღარიბაშვილის ეს გამოსვლა და რამდენად შორს დგას სინამდვილეში ოჯახური ღირებულებებისა და ბავშვების დაცვისგან მთელი ეს ივანიშვილის რეჟიმი, რამდენად უდიერად ეპყრობა საქართველოს წარსულსაც და მის აწმყოსაც, აი, ბავშვების დაცვის მიმართულებით რომ წავიდეთ…"

ირონია და საკრაზმი ჩანს წამყვანების საუბრიდან - ნინო: *„აა, ხო და რაც მთავარია სხვა ქართველი ბავშვებისთვის დასავლეთი უნდა იყოს გარყვნილი და მიუღებელი, მაშინ როცა საკუთარ შვილებს აჩენენ ისინი ამერიკაში, იმისთვის რომ მოქალაქეობა ჰქოდნეთ სწორედ ამ ქვეყნის და სასწავლებლადაც სწორედ იქ უშვებენ ხო, მათ შორის თვითონ ირაკლი ღარიბაშვილის შვილიც სწავლობს პენსილვანიის უნივერსიტეტში, რომელიც არის თავად გამორჩეულად ლიბერალური და მეგობრული სივრცეა ლგბტ ადამიანების მიმართ."*
ირაკლი: *„ხო, ასევე, დღეს მოვისმინეთ მთელი განცხადება ოჯახის სიწმინდესა და ოჯახური ინსტიტუტის სიმყარესთან დაკავშირებით, როგორ ზრუნავს თურმე „ქართული ოცნების" ხელისუფლება და უბრალოდ სტატისტიკას, რომ შევხედოთ 2022 წელს ემიგრაციაში საქართველოს 100000 მოქალაქე წავიდა, ეს დაახლოებით ამდენ გაყოფილ ოჯახს გულისხმობს საქართველოში ხო, ეს გულისხმობს, რო დაახლოებით ამდენ ოჯახში ერთი მშობელი დააკლდება ბავშვებს და ისე გაიზრდებიან, რომელ ოჯახურ სიწმინდეზე ლაპარაკობს, როცა ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ იძახდა, რომ, აი, ეს არის ემიგრაციაში წასვლა არი გზა ეკონომიკური კეთილდღეობის, იმიტო რო სხვანაირად საქართველოში აბა სამუშაო ადგილებს ვერ შევქმნითო და ასევე შეგვიძლია დაახლოებით მასშტაბი რომ წარმოვიდგინოთ წასული ადამიანების, შევხედოთ, აი ეს არის ფოტო, აქ დაახლოებით 100000-ზე მეტი ადამიანი იყო შეკრებილი* (ფოტო არის აქციიდან), *მარტო 2022 წელს ამდენმა ადამიანმა დატოვა საქართველო, დაახლოებით რო წარმოვიდგინოთ როგორი არის ემიგრაციის მასშტაბები ხო."*

კრიტიკას და უარყოფით განწყობას არ აკლებენ ხელისუფლებას, რაც ირაკლსა და ნინოს დიალოგშიც ჩანს, ირაკლი: *„რა თქმა უდნა, საყდრისის მაგალითი იყო, აგერ გელათის მაგალითია. გელათის მაგალითი არის ნიშანდობლივი, ამათ ხელში დაინგრა და განადგურდა, მათ დაიწყეს, გადახურეს გელათი არასწორად, მერე არასწორი რემონტი ჩაატარეს და ეხლა ვართ იმ ეტაპზე, რომ ის ფრესკები შეიძლება საერთოდ დაიკარგოს, ამის გამკეთებელი ხალხი ლაპარაკობდა, რომ იცავენ თურმე საქართველოს კულტურას და წარასულს.“* ნინო: *„და კიდევ ეკლესია, რწმენა და ასე შემდეგ, რწმენას უშუალოდ ეკლეიას რომ შევეხოთ, სუს-ის ფაილებიდან დავრწმუნდით ყველანი რამდენად მჭიდროდ ხელში უჭირავთ და აკონტროლებენ ხო მათ, პატრიარქს უსმენენ, მის კომუნიკაციებს…“* ირაკლი აწყვეტინებს: *,,თავის დას როგორ ელაპრაკება იმას უსმენენ. და სუს-ი უსმენს და აკონტროლებს ყველა ეპისკოპოსს, ყველა მღვდელს, ყველა მონაზონს, ყველას აბსოლუტურად, მათთან დაკავშირებულ ადამიანებს, აი მარტო მიტროპოლიტ შიო მუჯირს, რომელიც მოსაყდრე არი ხო, მის გარემო უსმენენ 50 ადამიანს, უსმენენ მის პარიკმახერს, მძღოლს, მძღოლის ოჯახის წევრებს, მათ ვისაც რაიმე შეხება აქვს, კურსელებს, ჯგუფელებს, კლასელებს, ყველას უსმენენ, ყველას უთვალთვალებენ.“* ნინო: *,,და აღწერენ, ამას ინახავენ.“* ირაკლი: *„ამას ინახავენ და ეს ხალხი ლაპარსკობს, რომ თურმე პატივს ცემენ საეკლესიო იერარქიას და საერთოდ საპატრიარქოს“*

ლგბტ თემთან დაკავშირებით საუბრისას, ნინო ხელისუფლებაზე რიტორიკულ კითხვას სვამს: *„ვერაგული ჩანაფიქრი აქვთ ხო“.*

როდესაც სტუმარი საუბრობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ფიზიოლოგიური ბედნიერება იგრძნობოდა, როდესაც მანქანაში ალიევის გვერდზე იყოო, ნინო პასუხობს: *,,აი, დღეს ვამბობდი ზუსტად, გაღიმებული ძლივს ვნახე საზღვარგარეთ თქო, ჰაჰაჰ” (იცინის)* - ასეთ ირონიას და დაცინვას გამოხატავს წამყვანი ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ, ხოლო ამავე თემაზე ირაკლი ახსენებს საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც დაკვირვებისას მხოლოდ ამ ერთხელ ახსენეს, თუმცა მისდამი დადებითი განწყობა ამ ერთი კომენტარითაც შეიქმნა: *„ისედაც, ოღონდ, ნახე, მიხეილ სააკაშვილი, როცა იდგა ალიევის გვერდით, იდგნენ, როგორც თანასწორები, იმ მხრივ, რო*

სააკაშვილი წარმოადგენდა კონკრეტულ ძალას და კონკრეტულ დიდ ძალას რეგიონში და ამ შემთხვევაში ის არი უბრალოდ დერეფანი, გაგრძელება.“

რაც შეეხება გადაცემის მეორე ბლოკს, მისი სახელწოდებაა - *„უკრაინის მზადება კონტრშეტევისთვის“,* სადაც წამყვანები სტუმართან ვახტანგ კაპანაძესთან ერთადს საუბრობენ რუსეთ-უკრაინის ომსა უკრაინის კონტრ-შეტევის გეგმაზე.

20 ივლისის გადაცემა: პირველი ბლოკის სახელწოდებაა - „ემიგრაცია - მწვავე სოციალური პრობლემა,“ სადაც წამყვანები სტუმრებთან ერთად დისკუსიას მართავენ თუ ქვეყანაში ისეთი ეკონომიკური მდგომარეობაა, რომ ბევრ ადამიანს ემიგრაციაში უწევს წასვლა. ამ საკითხშიც კვლავ მიმდინარეობს ხელისუფლების კრიტიკა: სალომე: *„ხელისუფლება არ იქნება მაგით დაინტერესებული* (ემიგრაციაზე საუბრობობს და ირონიულად იღიმის)*, იმიტომ რომ ჩვეულებრივ უფრო ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები ტოვებენ ქვეყანას, გაყოფილ ოჯახებზეც მინდა გკითხოთ, ანა* (სტუმარს უსვამს კითხვას თან) *და ამ ფსიქოლოგიურ ეფექტზეც, ძალადობა ახსენა თამთამ და რამდენიმე შემთხვევა მინიმუმ ბოლო 2 წელში მახსენდება, როცა მშობელი იყო ემიგრაციაში, ჩვენ ვერ დავაკისრებთ მათ პასუხისმგებლობას იმ საშინელებაზე, რაც მოხდა, მაგრამ ბავშვები იყვნენ დარჩენილი ძალიან ხშირად მხარდაჭერის გარეშე ან რაღაცა ინფორმაციის გაზიარების გარეშე, რაც არი ძალიან სამწუხარო ეფექტი ამ ყოველივესი, ძაან ხშირად გველაპარაკებიან ჩვენ აქ ოჯახის სიწმინდესა და ზრუნვაზე ხელისუფლების წარმომადგენლები და ეკონომიკურ აღმავლობაზე, რა არის რეალობა ამ გაყოფილი ოჯახების რომ ვისაუბროთ?“* ასევე ნინოც ერთვება საუბარში ირონიით: *„განსაკუთრებით ცინიკური არი იმ პროპაგანდის ფონზე, თითქოს რომ ოჯახის სიწმინდეს იცავენ და სინამდვილეში ასეთი პრობლემაა“. ასევე,* ხელისუფლების კრიტიკის მაგალითია, როცა ნინო საუბრობს: *,,აი, პრიგოჟინის აჯანყება რომ იყო ეგ, როცა რამდენიმე საათის მანძილზე მთელ მსოფლიოს ეგონა, რომ რუსეთი შეიძლება დაშლილიყო ან იქ სამოქალაქო ომი დაწყებულიყო და ჩვენი ხელისუფლება საერთოდ არ ჩანდა, იმ დღეს დავინახეთ რამდენად დაუცველი შეიძლება ვიყოთ”*

შემდეგ სტუმარი სოსო ბერიკაშვილი პასუხობს ,,ნუ თუ არ ჩანდა, გამოჩნდა მეორე დღეს და…" ნინო კი აწყვეტინებს: *,,მეორე დღეს გამოჩნდა, როცა უკვე გაირკვა ვითარება, მაინც ალბათ მივდივართ ხელისუფლების პოლიტიკურ არჩევანთან."* ასევე ირონია ჩანს სალომეს შემდეგ სიტყვებში, როდესაც კითხვას სვამს: *„რა იქნებოდა სწორი პოლიტიკა, რომ ვისაუბროთ ხელისუფლების მხრიდან, იმიტო, რო ახლა რაც გვაქვს თან ერთი მხრივ პოლიტიკის არ არსებობაა* (ირონიულად იღიმის)*, თან მკაფიო პოლიტიკაც."*

გადაცემის მეორე ბლოკის სახელია - *,,ვითარება ისტორიულ ტაო-კლარჯეთში",* სადაც სტუმრად ისტორიკოსი ბუბა კუდავაა და მასთან ერთად განიხილავენ წამყვანები ტაო-კლარჯეთის მდგომარეობას და საქართველოს მთავრობის კრიტიკა კვლავ მიმდინარეობს, რომ ისტორიული ძეგლების გადასარჩენად არაფერს აკეთებენ, ირაკლი ღარიბაშვილი და ბიძინა ივანიშვილიც კვლავ აქტუალურნი არიან გადაცემის ამ ნაწილშიც, ნინო: *,,მრგვალი მაგიდა ბრუნდება პირდაპირ ეთერში, კავასიძეების ციხე წყალს ქვემოთ მოექცა, იქ შემორჩენილი მხატვრების გადასარჩენად კი საქართველო სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია, ეს ტრაგიკული ამბავი ერთ დღეში ან თუნდაც ერთ თვეში არ განვითარებულა, რამდენიმე წელია, რაც ცნობილია, რომ მდინარე ჭოროხის აუზში თურქეთი დიდ ჰესს აშენებს, აშენებდა, რასაც იქვე გაშენებულ პატარა ქალაქ იუსუფელის ჩაძირვა მოყვებოდა, ეს რომ კავკასიძეების ციხეც წყლის ქვეშ აღმოჩნდებოდა არავის დაუმალავს, ამ პერიოდის განმავლობაში თურქეთის სახელმწიფოსთან მუშაობის შესახებ საზოგადოებას არაფერი სმენია, არადა სწორედ ახლახან იყო ირაკლი ღარიბაშვილი ანკარაში და თავს იმით იწონებდა თუ როგორი მაღალი ტონის პროტოკოლური დახვედრა მოუწყეს, მის ესკორდს ცხენოსნები მიუძღოდნენ წინ, როგორც ჩანს ამ სანახაობამ სრულად გადაფარა ის მტკივნეული საკითხები, რაც ორ მეგობარ ქვეყანას აწუხებს ხოლმე."* ირაკლი: *,,ალბათ გახსოვთ როგორ გვპირდებოდა ივანიშვილის რეჟიმი დავითგარეჯას დაბრუნებას, როგორ უსინდისოდ დააპატიმრეს ორი უდანაშაულო ადამიანი და მათ საარჩევნი მიზნებით, საკუთარი ამომრჩევლის დაბოლებისა და მოტყუების მიზნით საქართველოს ისტორიის გაყიდვა დააბრალეს. ვერ ვიტყვით რომ ამან არ იმუშავა, რამდენმა ბრიყვმა დაიჯერა, რომ ივანიშვილი მართლა დავითგარეჯეზე ზრუნავდა, რამდენმა უსინდისომ*

მოაწერა ხელი სტალინური სტილის ბრალდებას და რამდენმა გამყიდველმა გაყიდა სამშობლო იაფასიან რუსულ პროვოკაციაზე, აი, ახლა კი საინტერესოა ეს აღშფოთებული ქართველობა რას ფიქრობს, როგორ მოხდა რო მათმა მილიარდერმა პატრონმა ვერაფრით უპატრონა ციხეს, რომელმაც გაუძლო ყველაფერს, მაგრამ ვეღარ გაუძლო ჩვენი საქართველოს უპასუხისმგებლობასა და უგულუსყურობას...“ კვლავ ხელისუფლების კრტიკის მაგალითი წამყვანის მხრიდან, ირაკლი: *,,საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა, რომ რამდენიმე ადგილას სადაც ჰესი შენდებოდა, აგერ ეთნოგრაფიულ მუზეუმში არის გადმოტანილი, ძაან რთულია ამის წარმოდგენა ეხლა როგორ გახდა ეს შეუძლებელი”*

ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კვლავ ჩანს წამყვანების მხრიდან, ნინო: *„მხოლოდ პროპაგანდაში არსებობს ქართული იდენტობის შესახებ ამ ხელისუფლების წარმომადგენლები და რეალობაში, მხოლოდ ფარისევლობასთან გვაქვს საქმე, როცა გელათს რო შევხედოთ…* სალომე აწყვეტინებს: *,,გელათის მაგალითიც გვაქვს ხო.’*ნინო: *,,თავზე გვენგრევა ჩვენი ისტორია და კულტურის ძეგლები.”*შემდეგ სტუმარი, ბუბა კუდავა ამბობს რომ არ უნდა პოლიტიკაში გადაიყვანოს, მაგრამ პოლიტიკაა ისეც ჩვენი ცხოვრება და რეალობა, აინტერესებს რატომ სდუმს ხელისუფლება, რაზეც ირაკლი პასუხობს: *,,აღმოჩნდა, რომ მათ სინამდვილეში ადარდებდათ საკუთარი შემოსავლები და საერთოდ არც ამ ქვეყნის კულტურა არ აინტერესებდათ, აი, თეა წულუკიანი ხო, აი, კულტურის მინისტრია, ხო შეეძლო რო რაღაც მინიმალური ყურადღება მაინც გამოეჩინა, მაგრამ არაფერი თეა წულუკიანმა წმენდა უნდა მოაწყოს აქ, ოპონენტებისგან უნდა გაწმინდოს…’*ნინო აწყვეტინებს: *,,თან როცა შეუქცევადია ეს ზიანი და მთელი მომავალ თაობებს აკარგვინებს შანსს, რომ მართლა უფრო მეტი გააკეთოს.’*სალომე: *,,თან მართლაც რაღაც პოლიტიკურ ნიუანსებს მიღმა არი ხო, როდესაც ისტორიაზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე ვსაუბრობთ, უსიტყვო შეთანხმება უნდა არსებობდეს მთელ საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა ვინ არის ხელისუფლებაში, ჩვენ მათ უნდა მოვთხოვოთ და ისინი ვალდებული არიან იზრუნუნ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაზე და ძალიან სამწუხაროა, რო საზოგადოების მხრიდანაც ნაკლები წნეხი მოდის*

ამ მიმართულებით ,,ქართული ოცნების" მიმართ და კულტურის სამინისტროს, როცა ვუყურებთ რითი არის დაკავებული ალბათ კარგი იქნებოდა, რომ ამაზეც უფრო მწვავე რეაქცია იყოს, როგორც სხვა საკითხებზე ხდება ხოლმე, რასაც იდენტობას ძალიან მცდარად ვაკავშირებთ, ძალიან გაგვიგრძელდა სიტყვა, მაგრამ გული გვწყდება ჩვენც და დიდი მადლობა რომ თქვენ აქცევთ ამ ყველაფერს ყურადღებას, იმიტო რო ალბათ ვერც გავიგებდით რა ხდება იქ." ამ ფონზე სრულდება გადაცემის სეზონიც.

შეიძლება ითქვას, რომ „მრგვალი მაგიდის" წამყვანები ყოველთვის ინფორმირებულები არიან საკითხის მიმართ, კითხვებიც აქვთ წინასწარ გამზადებული სტუმრებისთვის, თუმცა კითხვათა უმეტესობა დიდია და რთული წინადადებებითაა შედგენილი, სტუმრები შესაბამისი სფეროებიდან ან ოპოზიციური პარტიებიდან არიან მოწვეული, ეს უკანასკნელი არხის პოლიტიკაზე უსვამს ხაზს, რაც შეეხება წამყვანთა მეტყველებას გამართულია, წინადადებებიც გასაგები, თუმცა ზოგჯერ ერთმანეთს აწყვეტინებენ საუბარს, რაც მაყურებლისთვის არასასიამოვნო ფაქტია, რადგან რომელიღა წამყვანი აზრს თუ ვერ ასრულებს მისი ნათქვამის შეფასება ბოლომდე არ შეუძლია. გადაცემაში არ ყოფილა გამოყენებული ბარბარიზმები, თუმცა რამდენიმე ნეოლოგიზმს შევხვდით. რაც შეეხება წამყვანების პოლიტიკურ დამოკიდებულას, ზოგიერთ შემთხვევაში და ზემოთხსენებულ მაგალითებში კარგად ჩანს მათი სუბიექტური აზრი, უარყოფითი განწყობა, კრიტიკა, ირონია და სარკაზმი ხელისუფლებისადმი, რასაც ვერ ვიტყოდით ოპოზიციაზე, თუმცა ოპოზიციაზე დადებითი გავლენის მწირე მაგალითებია.

არავერბალური (არჯაილის მეთოდის მიხედვით):

სხეულებრივი კონტაქტი: გადაცემის არცერთ ეპიზოდში არცერთი წამყვანი არ შეხებია ფიზიკურად არც ერთმანეთს და არც სტუმრებს ანუ არ ჰქონიათ ფიზიკური კონტაქტი.

სიახლოვე: გადაცემის ფოტმატიდან გამომდინარე წამყვანები და სტუმრები მრგვალი მაგიდის გარშემო სხედან ერთმანეთისგან დისტანცირებულად, მათ ფიზიკური სიახლოვე არ აქვთ ერთმანეთთან და არც უსიამოვნება შექმნილა ამის გამო თოქ-შოუში.

ორიენტაცია: ორინტაცია დაცულია, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, გადაცემის ყველა მონაწილეს შეუძლია ერთმანეთთან კომფორტული კომუნუკაცია შეზღუდვების გარეშე, რადგან მათ მრგვალი მაგიდაც აძლევს ამის საშუალებას. არცერთ შემთხვევაში არც წამყვანებს და არც სტუმრებს არ შეუქცევიათ ერთმანეთისთვის არც ზურგი და არც დისკომფორტი შექმნილა ამ მხრივ.

გარეგნობა: გადაცემის წამყვანებს აცვიათ სატელვიზიო სივრცის შესაბამისად, მოწესრიგებული აქვთ როგორც ტანისამოსი, ისე თმის ვარცხნილობა თუ სატელევიზიო მაკიაჟი, ეს ყოველივე გადაცემის ფორმატზე კარგ ვიზუალურ ეფექტს ახდენს, რადგან წამყვანების მოწესრიგებულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თავის ქნევა: თავის ქნევის შემთხვევები ბევრი იყო გადაცემაზე დაკვირვებისას, უმეტესად ეს ჟესტი თანხმობას აღნიშნავდა წამყვანების მხრიდან, რამდენიმე შემთხვევაში კი ნებართვის აღებასაც სიტყვის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სახის გამომეტყველება: რაც შეეხება ჟურნალისტთა/წამყვანთა სახის გამომეტყველებას გადაცემის მიმდინარეობიდან გამომდინარეა, თუმცა უმეტესად ისინი ცდილობდნენ მშვიდი და გაწონასწორებული სახის შენარჩუნებას, გარკვეულ შემთხვევებში კი როდესაც ხელისუფლებისადმი კრიტიკას ან უარყოფით განწყობას გამოხატავდნენ ირონიულ, დამცინავ ან მკაცრ სახის გამომეტყველებას იღებდნენ წამყვანები.

ჟესტები: ამ შემთხვევაში ჟესტების უმრავლესობა ხელებთან არის დაკავშირებული, რადგან წამყვანებიც სხედან და მათ დამატებით მხოლოდ ხელებით საუბარი შეუძლიათ, ისინი ხელებს უმეტესად დისკუსიის დროს, რაიმეს ახსნისას იყენებდნენ.

პოზა: როგორც ზემოთ აღინიშნა წამყვანები სხედან, პოზა თითქმის ყოველთვის ერთნაირია ან წელში გასწორებული არიან და სკამს არ ეყრდნობიან, ანდაც იგივე პოზიციაში უბრალოდ მაგიდას ეყრდნობიან ხელებით.

თვალის მოძრაობა და თვალით კონტაქტი: წამყვანები ლიდების კითხვისას ყოველთვის კამერაში იყურებიან და ამით იგრძნობა რომ საზოგადოებას მიმართავენ, ხოლო

დისკუსიებისა და კითხვის დასმისას ყოველთვის ერთმანეთს ან სტუმრებს უყურებენ თვალებში და არ არიდებენ ერთმანეთს თვალით კონტაქტს, რადგან ამით გამოხატავენ იმ პოზიციასაც რომ უსმენენ ერთმანეთსა თუ სტუმარს და მათზე არიან კონცეტრირებული, ხოლო რაც შეეხება წამყვანებს შორის თვალით კონტაქტს რაიმეს მინიშნებისას, ამის ხშირი მაგალითი არ ყოფილა, რამდენიმე მაგლითი იყო როდესაც ერთი წამყვანი მეორეს ან საუბარს უთმობდა ან პირიქით აწყვეტინებდა.

მეტყველების არავერბალური ასპექტები: რაც შეეხება წამყვანების ტონს, უმეტესად მშვიდი იყო, თუმცა დისკუსიის გამწვავებისას მათი ტონიც იცვლებოდა, იყო რამდენიმე შემთხვევა როდესაც წამყვანმა მეორე წამყვანის მიმართ ტონს აუწია, რადგან საუბრის დასრულება სურდა, რაც ვერბალურ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ. მეტყველების კულტურასა და კილოსთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმნილა გადაცემის მიმდინარეობისას, რადგან სამივე წამყვანი გამართულად საუბრობს ქართულად და არც რომელიმე კუთხის დამახასიათებელი დიალექტით არ გამოირჩევა, უბრალოდ იყო რამდენიმე შემთხვევა როდესაც სიტყვა შეეშალათ, თუმცა მაშინვე გამოასწორეს. რაც შეეხება პაუზებს, გადაცემის რიტმიდან გამომდინარე, თითქმის არ ყოფილა დიდი პაუზები წამყვანების მხრიდან.

როგორც აღვნიშნეთ, გადაცემას ჰყავს მოწვეული სტუმარი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრის ამპლუა კომპოზიციურად და ფუნქციურად ერთი შეხედვით კმარია, მეტყველებითი კოდების თანაფარდობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წამყვანებს სტუმარი თავიანთი მოსაზრებების ვალიდაციისთვის სჭირდებათ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადჰყოფს, რომ შეკითხვა სტუმრისადმი უფრო რიტორიკულია ან ერთგვარი ჩახმახის ფუქნციას ასრულებს. წამყვანის საკმაო გრძელი შესავლის შემდეგ, ურთიერთგამაძლიერებელი ნაკადების შემდეგ წამყვანების მხრიდან სტუმარს უყალიბდება მათთან დათანხმების განწყობა.

ამ ნიშანდობლივი მაგალითების მოყვანა თვალნათლივ, თითქმის სქემატურად გვიჩვენებს მცირე და დიდი კომუნიკაციური ციკლების გადაკვეთას, რამდენიმე წამყვანის არსებობის გამართლებას ერთ სტუდიაში. შეტყობინების, ფეარკლაფის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ

– გამონათქვამის, ხორცშესხმა მსმენელის და მაყურებლის თვალწინ ხდება. წამყვანთაგან ერთ-ერთი რეალობიდან გამოჰყოფს რაიმე ფაქტს, მოვლენას, რომელსაც ნეგატიური ტენდენციის სახე ეძლევა. სახეზეა ფაქტით მანიპულაციის მაგალითი – ამ შემთხვევაში რეალური ხდომილება შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ იქნას გამოყენებული, როგორც ინფორმაცია; მეორე მათგანი ტონალობის რეგისტრს ან ამაღლებს ან ადაბლებს: ან ზედმეტად სარკასტულ კომენტარს აკეთებს, ან ზედმეტად პესიმისტურ დასკვნას. მესამე წამყვანის ფუნქცია არის მუდმივი პარალელის გავლება რუსეთთან, რუსულ პრაქტიკასთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს სარედაქციო პოლიტიკის კლიშეა (რუსეთუმეობით შერცხვენა); არის კიდევ ერთი კლიშე, რომელიც უფრო მეტად თვითპოზიციონირებას უკავშირდება. ეს არის ქართული ოცნების მხრიდან ყველა არასასურველისთვის „ნაცის“ იარლიყის მიკერება. თუმცა გადაცემის ზოგიერთი სტუმარი, რომელიც ამის გამო აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“, მართლა იყო ნაციონალური მოძრაობის წევრი. ეს ორი უკანასკნელი კლიშე რეფერენციით მანიპულირების შემთხვევაა.

როგორც ვხედავთ, თითოეული მესიჯი სამმაგი დისკურსული ბადით მაგრდება.

„სამნი&Co“

ტელეკომპანია *პოსტ ტვ-ის* ანალიტიკურ-პოლიტიკური გადაცემა „სამნი&Co“ ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში გადის ყოველ ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს 22:15 საათზე. აღნიშნული გადაცემის საკვლევი პერიოდი ანალოგიურია – იანვარი-ივლისი, რომლის განმავლობაშიც შემთხვევითობის პრინციპით 4 გადაცემა შევარჩიეთ: 31 იანვარის, 28 მარტის, 25 მაისისა და 26 ივლისისა. განსახილველი თემატიკის მიხედვით, გადაცემა ეძღვნება შიდაპოლიტიკურ მოვლენებს, ახალ ამბებს, იმ მოვლენის გამო გამოთქმულ კომენტარებსა და შეფასებებს. თოქ-შოუს სამი წამყვანი ჰყავს: შალვა რამიშვილი, ბაჩო ოდიშარია და გური სულთანიშვილი. წამყვანების განლაგება სტუდიაში შოუს დრამატურგიას და გარკვეულ სუბორდინაციას წამყვანებს შორის საცნაურს ხდის. თემის წარდგენას ცენტრში მჯდომი წამყვანი, შალვა რამიშვილი, ახდენს. ხშირია

შემთხვევა, როცა იგი ამბის ან ვიდეოს წარდგენის შემდეგ კონკრეტულად რომელიმე თანაწამყვანს მიმართავს კომენტარისთვის. თუმცა ზოგადი დრამატურგიით, ორივე თანაწამყვანი თანაბრად მონაწილეობს გადაცემის განვითარებაში. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ოდიშარიასა და სულთანიშვილს თავიანთი სპეციფიკური როლები და დამახასიათებელი მეტყველება აქვთ – თითქმის იდიოლექტური. გური, როგორც წესი, ფილოსოფიურ ფრეიმვორკზე მუშაობს, ბაჩო - ნებისმიერი კულტურული რეგისტრის რეფლექსიაზე. თვალსაჩინოებებს რამიშვილი არჩევს, ის ასრულებს დისკუსიის კამერტონის ფუნქციას, მოცემული ტონიდან გადახვევის შემთხვევაში იგი ბაჩოს და გურის აწყვეტინებს ან არ ასრულებინებს აზრს.

ეთერში გაშვებული ვიზუალური პროდუქციის თვალსაზრისით, გადაცემაში უმეტესად ოპოზიციურ პარტიების წარმოამდგენელი პოლიტიკოსების ან მათი მხარდამჭერების ვიდეოკომენტარებს უჩვენებენ. ეს ვიდეოები ყოველთვის არ ექვემდებარებიან ქრონოლოგიურ წესრიგს. გადაცემის კომპოზიციისთვის უფრო მნიშვნელოვანია ლოგიკური ღერძი, რაიმე ცენტრალური ხდომილება ან იდეა, რომლის გასაანალიზებლად „სამნი & Co“ ნებისმიერი პერიოდის რელევანტურ ვიდეოს იყენებს, რომელიც ღია წყაროებში იძებნება.

„სამნი &Co”-ს ქუდი მოკრძალებულია, მომწვანო ფონზე ეწერება „პოსტ ტვ წარმოგიდგენთ“ და კლიშედ ქცეული მუსიკალური ფრაზის თანხლებით წამყვანები ბაჩო, გური და შალვა ჩნდებიან, – ერთმანეთის მიყოლებით, თავს კამერისკენ აბრუნებენ და მაყურებლის თვალწინ გადაცემის სათაური იწერება.

გადაცემა ხან იუმორისტული ჟღერადობით იწყება, ხან - სერიოზული ტონალობით. თუმცა როგორიც უნდა იყოს გადაცემის უვერტიურა, „სამნი და კო“ სპეციფიკურად სატირული, ექსპრესიული ლექსიკით, არავერბალური თუ ექსტრალინგვისტური კოდებით მდიდარი გადაცემაა. მათი ლექსიკა ისეთი რეგისტრის ლექსიკაა, რომელიც ყველასთვის გასაგებია, მაგრამ, შესაძლებელია, ყველასთვის მისაღები არ იყოს – განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ტელემეტყველების მიმართ მოდერნისტული ეპოქის სტანდარტები აქვს.

ასევე ნიშანობლივია ის, რომ გადაცემაში მსმენელი ისე შედის, თითქოს სპონტანურ საუბარში ერთვებოდეს – გადაცემა ძალიან ხშირად ე.წ. „ეთერს მიღმა“ კადრით იწყება, რაც რამატურგიის ნაწილი უფრო უნდა იყოს, ვიდრე არაპროფესიონალური ტექნიკური პროდიუსინგი.

მეტყველებითი აქტების დაჩარჩოება ანალოგიური სქემით მოვახდინეთ:

ვერბალური:

31 იანვრის გადაცემა: გადაცემის საეთერო დროის უმეტესობა ეთმობა ოპოზიციის კრიტიკას, მათდამი ირონიისა და უარყოფითი დამოკიდებულების ხაზგასმით, აქცენტირებულად ჩვენებას. რასაკვირველია, ეს მათი სარედქაციო პოლიტიკის ნაწილია, მიზანმიმართული გამწვავება, რომელსაც თავისი ენა და მეტყველება აქვს. წამყვანები ხშირად იყენებენ ბარბარიზმებს, ე.წ. „ქუჩის“ დისკურსში დამკვიდრებულ მიმართვებს, ასევე ხშირად იმეორებენ უკვე ნათქვამ სიტყვას ან საუბარს მოულოდნელად, აზრის დაუსრულებლად წყვეტენ. მათ მიერ გამოყენებული ბარბარიზმები შეიძლება დავახასიათოთ არაკლასიკურ ბარბარიზმებად, არამედ განსაზღვრულ „კულტურულ კოდად“, რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან „ნასესხებ“ ფრთიან ფრაზად. ამის ერთ-ერთი მაგალითია სიტყვა „სმეშნოი“ (ალუზია „ერთი-ორ სმეშნოი სიტყვაზე“ ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) . შალვა: *„ეხლა გადავიდეთ, გადავიდეთ მიმდინარე ამბებზე, ხაბეიშვილის მიმართვა ქართულ ოცნებას, რაც გაიმარჯვა, შეთავაზება, მერე ამ შეთავაზებას ჩვენ გავათამაშებთ, მომზადებული გვაქვს ერთი-ორი* ***სმეშნოი*** *სცენა.“* -. ამის შემდეგ ლევან ხაბეიშვილის ვიდეოკომენტარია ჩართული ეთერში და როცა ლევან ხაბეიშვილი ივანიშვილს ახსნებს, შალვა რამიშვილი ამბობს „აი“ და ეცინება, ორ დანარჩენს წამყვანს სერიოზული გამომეტყველება აქვთ, ცოტა ხანში კი ბაჩოც იღიმება, გური ემოციას არ გამოხატავს. ვიდრე ვიდეო დამთავრდება, რამიშვილი ხელით ანიშნებს, რომ ვიდეო გათიშონ და ამბობს: *„ვსიო. კაიმ, დავაი, დავაი დაახვიე“..* ამის შემდეგ შალვა ჰყვება ისტორიას გია ჭანტურიას შესახებ, რას აკეთებდა „რადიო 105-ში“ (პაროდიულად)) *„ჩვენ, ძმაო, რადიო დუქარდი, გავაკეთეთ რადიო დუქარდი, ძმაო, და სულ დავიარეთ*

სკოლებში და მაგარი ბავშვები ავაგროვეთ“, რის შემდეგაც რადიო „დუქარდის“ დირექტორის დონის ტიპს ადარებს ლევან ხაბეიშვილს, აგრძელებს პაროდიას ხმის უფრო მაღალი ტემბრით და ხან ერთ წამყვანს უყურებს და ხან მეორეს: *„ძმაო, აეხლა გეუბნები, ძმაო, გამოვუშვებთ, დავხურავთ, ძმაო, ოფისებს, ძმაო, ცენტრალურ ოფისებს გადავუფორმებთ, ჩემი დედა ვატირე* (ამ დროს წამყვანი გური ხელით აკეთებს ამ გინების ჟესტს და იცინის) *გადავუფორმებთ და მერე, ძმაო, ვაბშე წამოვალ, ძმაო, აი, ვაბშშეე წამოვალ, საკრებულო არის ესა, ძმაო, რავიცი პარლამენტი არის, ვაბშე ყველაფრიდან გამოვალ და წამოხვალ მაგაზე?“* ამ დროს ბაჩო ამბობს: *„თუ გინდ,ა სამ ცხვარსაც დავამატებ“*(იღიმება) პაროდიის მსვლელობისას ბაჩო ერთ მომენტში შალვას ასევე მიმართავს „ძმაო“-თი: *„ამას ჯაგსალიზმი აღარ ქვია,* ***ძმაო,*** *ეს რაღაცა გოიმობის ახალი ქვეჟანრი არი.“* თუკი ოდიშარია სწრაფად რეაგირებს რამიშვილის ჩაწოდებებზე – სტილურად, ტონალურად, – სულთანიშვილის დუმილი და თითქოს დისონანსური სერიოზული გამომეტყველება სინამდვილეში იგივე სტრატეგიის მეორე ემოციური მხარეა, რომლის ინტერპრეტირებაც ამგვარად შეიძლება: იმდენად რთული მოსასმენია ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გამოსვლები, რომ შეიძლება დაცინვისთვის ძალა არ ეყოს ადამიანს. შალვა რამიშვილი შემდეგნაირად საუბრობს ხაბეიშვილზე, როდესაც ფეისბუქზე გამოქვეყნებულ მისალოცს კითხულობს ხაბეიშვილის მიმართ: *„აი, ყველაზე ძალიან ნერვებს მიშლის რო კაცობენ რა, ჩმორები რა, ჭაობის ჩმორები“.* საუბარია წერილზე, სადაც მიხეილ სააკაშვილი ლევან ხაბეიშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ შიდაპარტიულ არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს და წერილში ხაბეიშვილს მიმართავს, რომ მისთვის უახლოეს ადამიანად თვლის, მისალოცი წერილი კი შემდეგნაირია: *„გილოცავ ძმა. გთვლი ჩემს უახლოეს ადამიანად და ძალიან დიდი პოტენციალის მქონე პოლიტიკოსად. მე საქართველოში არ ვაპირებ არანაირ პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ შენ ყოველთვის დაგიჭერ უკრაინიდან და სხვა ადგილებიდან მხარს.“*აღნიშნულ წერილს კი ხაბეიშვილი ფეისბუქზე აქვეყნებს. ბაჩო აგრძელებს საუბარს: *„მანდაც რა გოიმი არის, ამისთვის კაცობის რებრენდირება წერილში მიწერილი – გილოცავ ძმა რო არის, რო აი პამუჟსკი ვებაზრები.“ ამის შემდეგ* გური ერთვება საუბარში და ერუდიტის პოზიციიდან განმარტავს, რომ

„გილოცავ, ძმა“ მეინსტრიმული ტერმინია და „ძმა“ მაინც ქუჩიდან წამოსული სიტყვაა და რეპერულ კულტურას ადარებს აღნიშნულს: , რომ *„ეგ პონტია რა“... თუმცა დისკურსული ქაოსი, რომელსაც საკაშვილის ხაბეიშვილისადმი* მიმართვა იწვევს, გურის „ერუდიტის“ მეტყველებაშიც იჭრება „ჩემი კაის“ სახით და შეურაცხმყოფელი ჟესტით. თუმცა მალე ისევ უბრუნდდება თავის როლურ მოდლეს და ამბობს: *„სხვათაშორის, დღეს იმდენად ღადაობის იმაზე ვერ ვარ, უფრო თეორიების განწყობაზე ვარ“* შალვა: *„რატო? რა თეორიების? ამათ დედა ვატირე ყვე...“* გური ბაჩოს უყურებს, ხელის წრიული მოძრაობით ცდილობს თეორიის ახსნას, თუმცა რამიშვილი სარკასტულად შეახსენებს, რომ ახლა თეორიების დრო არ არის : *„მიშა გვყავს დასახსნელი, ცოტა გასაგებად იბაზრე რა“* (ხაბეიშვილის სკანალურად ცნობილი გამონათქვამის პაროდია) შემდეგ ეთერში ისევ ხაბეიშვილის ვიდეოკომენტარი გადის – ისევ რამიშვილის პაროდირებული დისკურსის თანხლებით, რასაც ბაჩოს რეაქცია მოსდევს: *„ძმა, გამომხედე რა“*

როგორც აღვნიშნეთ, უხეშად ექსპრესიული ლექსიკა და გამონათქვამები ამ გადაცემისთვის დამახასიათებელია, თუმცა ხანდახან ისინი საკუთარ „ბენჩმარკსაც“ კი „ღალატობენ“. შალვა: *„ლევან ხაბეიშვილი დაგვავიწყდა, **ძმაო,** რომ ისეთი **თვითმყოფადი თუჯის პენისია**, რომ დაგვავიწყდა რომ არის საზიზღარი ადამიანების კეზერაშვილის და მერაბიშვილის დასმული. მისმა აი ამ საშინელმა სოციალურმა ჰაბიტუსმა ისე დაგვიბნელა თვალები ან ისეთი ელვარე არის ეს რომ... მაგის მთავარი პრობლემა ხომ ის არის რომ, მკვლელებბის დასმულია, არა?!“*გური პასუხობს: *„ჩვენ ხომ შევთანხმდით მაგაზე, იმიტო დასვეს, რომ, ესეიგი ესეთი ტიპები, პროსტა ვერ აარჩევდნენ ცოტა დასტოინ და ოდნავ მოხოდილ ტიპს, მელია ამასთან შედარებით არის სოკრატეც და ყველაფერიც...“*

განიხილავენ უკვე სხვა ვიდეოს, სადაც ექიმი საუბრობს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და წამყვანების საუბარი კვლავ ცინიკური და ირონიულია, ბაჩო: *„თქვენი აზრით რა ხდებოდა?“*(იცინის) შალვა: *„წაბარბაცდა, ტვალეტში იმასშვებოდა, აკაჩავებდა.“*ბაჩო: *„მემგონი ძოძგინებდა“*(იცინის) შალვა: *„ჰო, აკაჩავებდა“*(იცინის) ბაჩო: *„მერე შერიგების დროს წაკანკალა“*(იცინის სამივე წამყვანი და აშარჟებენ სააკაშვილს). განიხილავენ სააკაშვილის დაზიანებებს, თვითონ თუ შეუძლია

თავის დაზიანება, გური: *„ხო და მართლა წაიქცეს“* შალვა: *„რო დააარტყას, რო ეტკინოს, ფუა ექნება მერე, არა მიშა არაა ეგრე, იქ თუ არ იცის რა ტრაექტორიით წაექცეს, რეპეტიცია თუ არაქვს“* და შემდეგ ისე საუბრობენ რომ ნახევარი არ ისმის, რადგან ერთდროულად საუბრობენ და დაცინიან სააკაშვილს და შალვა ამბობს: *„ფუ ამაზრზენი, ჩმორი, ფუუ ბლიად, ფუუ“.*

შემდეგ სხვა განცხადებას განიხილავენ - ლაშა ფარულავასი (ნაციონალური მოძრაობის წევრი), რომელიც საუბრობს პარტიაში საკადრო გადაადგილებებზე, რაზეც წამყვანების განხილვა კვლავ შეურაცხმყოფელია და უარყოფით განწყობას გამოხატავს აღნიშნული პარტიის მიმართ. ბაჩო: *„ესე ვინ არისო, ვინ არისო“* (იცინის) შალვა: *„ეგ არის, ბეგემოტი“* (იცინის) *„გააჩერეთ, გეხვეწებით გააჩერეთ, ხმა გააჩერეთ“*.... (ხმა წყდება).. ბაჩო: *„ჯერ, ჯერ გამაგებინეთ ვინ არის ეს ჩვენი ძმა.“* შალვა: *„ლაშა ფარულავა რა ვიცი მე, ბეჰემოტი.“* გური: *„ეს არის პატარა.. არა“* (აღარ ასრულებს წინადადებას) ბაჩო: *„ესაა ძმა ძმა იმენა“* შალვა: *„ბიჭო, ამას ხორთუმი რომ გაუკეთო პატარა სპილო ხომ იქნება“* (იცინიან შალვა და ბაჩო) გური: *„კაი სავაშ, ეგ რა გჭირთ რა... ნახეე...* (იცინის), შემდეგ ამ ხმა გათიშულ ვიდეოს ახმოვანებენ, შალვა: *„გაშალეთ დიდზე, გაშალეე დიდზე* (მიმართავს ოპერატორს რომ მთლიან ეკრანზე გამოჩნდეს ლაშა ფარულავას ვიდეო) *პატარა ხორთუმი რომ აქვს“...* ბაჩო: *„ლევან, ძმა ძმა კაი ჩაშუშული სოკო მაქვს, არ გინდა, ძმა ძმაა?* (ახმოვანებს ვიდეოს და იცინის), შალვა: *„ძმის გულო“* (იცინის), გური: *„დღეს ავმჩატდი. ეს გავს გუბაზის, იმიტომ რომ ვერ იყურება კამერაში, ქვემოდან იმაშვება, აცეცებს“* შალვა: *„რა თქვა ახლა? მნიშვნელობა აქვს ამან რა თქვა?“* გური: *„გამოვიცნობ“* (იცინის) *„ხო კაიი გავუშვათ“.*

ორიგინალი ვიდეოსთვის ხმის გათიშვა და სხვა ხმოვანი რიგის დადება, თუნდაც სპონტანურის, იქვე, სტუდიაში შექმნილის, ამ გადაცემისთვის ჩვეული ხერხია. სატირა, რომელიც ჟანრის ფარგლებს გადადის და დეკონსტრუქციად იქცევა. ეს ხერხი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქმე ან „ამოჩემებულ“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ - „მიზანში ამოღებულ“) პოლიტიკურ ფიგურას შეეხება (მაგალითად, გუბაზ სანიკიძეს), ან ძალიან უმნიშვნელო პოლიტიკურ ახალბედას, რომელსაც „სამნი და კო“ სიტყვის უფლების ღირსადაც არ მიიჩნევს.

გადადიან სხვა თემაზე - ლიზა იასკოს ფიგურაზე და სამივე ერთად იწყებს საუბარს. მაყურებელსა და მსმენელს არ ესმის, რას ამბობენ წამყვნები, ამ „ხმაურის“ შემდეგ მხოლოდ ბაჩოს მილოცვა ისმის – იგი ულოცავს, რომ მშობელი გახდა. შემდეგ აშარჟებენ ლიზა იასკოს პოლიტიკურ ალღოს, შალვა: *„ლიზა იასკომ თქვა, რომ დარწმუნებული ვარ, ხაბეიშვილს ქართველი ხალხი გაყვებაო.“*

აღსანიშნავია, რომ ყველა ოპოზიუციური პოლიტიკოსის მიმართ არ არიან უარყოფითად განწყობილები, რაც ამ დიალოგშიც ჩანს, შალვა: *„გაუშვით პაატა მანჯგალაძე, პატა მანჯგალაძე.“* გური პაატა მანჯგალაძის შესახებ: : *„არა, ეს თუ არ ჩხუბობს და თუ არ ყმუის, არ არის საინტერესო.“* შალვა: *„იაგო ხვიჩია მიშაზე, აი საინტერესოა, იაგო რას იტყვის,“* გური: „იაგო კიი.“

28 მარტის გადაცემა: გადაცემა იწყება წამყვანების მისალმებით. უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემაში ისაუბრებენ თათია სამხარაძის შესახებ, რომელიც შალვა რამიშვილს ადანაშაულებდა სექსუალურ ძალადობაში და აღნიშნულ საქმეზე დავა სასამართლოში ორჯერ მოუგო. შემდგომ კი პოსტ ტვ თათია სამხარაძისა და დიმიტრი ჩიქოვანის („ნაციონალური მოძრაობის“ წევრი) საეჭვო კავშირის შესახებ სიუჟეტსაც ამზადებს, სადაც ტელეკომპანია ირწმუნებოდა რომ იმ ბინას მიაკვლიეს, სადაც სამხარაძე და ჩიქოვანი ერთად იმყოფებოდნენ. ასევე, პოსტ ტვ დიმიტრი ჩიქოვანს ბრალს დებს რომ მათი ტელეკომპანიის ჟურნალისტს ნათია ბერიძეს (ვინც აღნიშნული სიუჟეტი მოამზადა) პროფესიულ საქიანობაში უკანონოდ შეუშალა ხელი.

გადაცემის დაწყებისთანავე შალვა გადადის საუბარზე, რომ ასრულებენ ეპოპეას, შალვასთან და პოსტ ტვ-თან დაკავშირებით: *„მოკლედ, ჩვენ ვასრულებთ ეპოპიას, ჩემთან დაკავშირებულს, უფრო სწორად პოსტ ტვ-თან დაკავშირებულს, ეპოპეას, რომელიც მიმდინარეობდა რამოდენიმე დღე და თათია სამხარაძემ დიმა ჩიქოვანის მეშვეობით ჩაუყარა, ჩოუყარა საფუძველი, რა თქმა უნდა, კეზერას ფულით და ეს კამპანია მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც დიმა ჩიქოვანმა, ამ სრულიად თანამდებობისთვის შეუფერებლმა ტიპმა, ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა...“* ბაჩო აწყვეტინებს:

„რატო? მე მგონია ნაცობისთვის ძაან შესაფერისი ტიპაჟია.“ შალვა: *„ასეთი ოპერაციების ჩატარებისთვის არ არის შესაფერისი ტიპაჟი.“* ბაჩო: *„ეგ ხო.“*

შემდეგ შალვა საუბრობს, როგორ დააზიანეს პოსტ ტვ-ის ერთ-ერთი ჟურნალისტი, შალვა: *„ხო ზურგით მოდიოდა... ხო, ნუ როგორი იდიოტიც თვითონ არის, ისეთი იდიოტი ადვოკატები ჰყავს, თუმცა რა გასაკვირია, მისი ერთ-ერთი ადვოკატი არის მიშას ადვოკატი* ...(სააკაშვილს გულისხმობს). ამის შემდეგ ბაჩო ამბობს, რომ თათია სამხარაძის მხარდასაჭერი აქცია უნდა ყოფილიყო და ფეისბუქ ჯგუფში ას კაცზე ნაკლები იყო და იქ ნახევარიც არ მივიდოდაო, რაზეც გური პასუხობს: *„კაი რა, ბაჩო ეხლა, ისა, არჩევნების პერიოდში რო იყო ცესკოსთან რაღაცეები და ისინი ხო გახსოვს, ათ-ათი კაცი დადიოდნენ და მთავარი არხი წარმოაჩენდა, რო ასიათასი იყო, მარა აქ ჩვენც ხო გადავიღებდით“ .* შალვა ისევ მის ამბავს განიხილავს და ასევე მიხეილ სააკაშვილსაც არ ტოვებს უყურადღებოდ, შალვა: *„მე მზად ვარ, პასუხი ვაგო, მაგრამ პასუხს აგებს დიმა ჩიქოვანი, პასუხს აგებს ნაც.მოძრაობა და ბოლო ბოლო ერთი ცუდი სკაბრეზული ხუმრობაა, რომელსაც მე არ ვიტყვი, მაგრამ მე რომ შემისწავლეთ თავიდან ბოლომდე და ყველა ჩემი კიდური და ორგანო რო შეისწავლეთ სააკაშვილი ტირის, რო 58 კილო ვარო, თურმე ეგეც სიცრუე აღმოჩნდა“* სხვა წამყვანებიც ეთანხმებიან, ბაჩო: *„კი, 64,400-ია“* , საუბარს ისევ შალვა აგრძელებს: : *„ხო და უყურებს ახლა ამ მედიაგარემოს და ისევ ჩემზეა ლაპარაკი, ნაცები ლაპარაკობენ ჩემზე“.* გური: *„შეიძლება თქვას მიშამ, რო შემავიწროვა შალვამ“* შალვა: *„..რაც შეეხება მიშას და მიშას წარსულს, მერე ვილაპარაკებთ რამდენი შეავიწროვა კი არა გააუპატიურა, მაგაზე ცალკე ვილაპარაკებთ და თავისი ნახმარი ქალბატონები ძმაკაცებს ბრჭყალებში მიათხოვა“.* გური: *„რატო იცი?“* შალვა: *„რატო?“* გური: *„ჩუმად რო ყოფილიყვნენ“.* შალვა: *„ვიცი ეს კაცო, ყველაფერი კარგად ვიცი და რამდენი ოჯახი, რამდენი ოჯახი დაანგრია, გოგონა მუშაობდა სადღაც, სახელმწიფო სტრუქტურაში, მისი ქმარი იქვე და გააშორა, ეს გოგონა გაათხოვა, ეს ამბები ქალაქში არ იმალება ხო, ეხლა უბრალოდ ზის უყურებს ჩემს განხილვას და გიჟდება იმიტო, რო უნდა რო საინფორმაციო სივრცე იყოს მოცული სააკაშვილით და არის მოცული ჩემით“.*

გარკვეული საუბრის შემდეგ შალვა სერიოზულად იწყებს საუბარს, ბაჩო: *„არა მემგონი, მემგონი ცოტა უკან დასახევი უნდა დაიტოვო შენ, იმიტო რო ერთი მამხილებელი მე, რაც მოვისმინე დღეს იქ ნამდვილად შენი ბრალეულობა იმხელა იკვეთება,* (აქ არ აცდის შალვა ბაჩოს საუბარს და ერევა და ამბობს ირონიული ღიმილით *„დასინვა, დასინვა, დასინვა“* მერე ისევ აგრძელებს ბაჩო თავის სათქმელს) *რომ იქ ნამდვილად ბოდიშზე მეტი მოგიწევს რა“.* გური პასუხობს: *„არ გინდა მოეშვი“.* ბაჩო: *„ნუ ეგ მართლა, ძალიან ძალიან ძალადობრივ, ძალიან...“* აწყვეტინებს გური: *„ის თქვი დაახლოებით სიტუაცია ვინც არ იცის.“* ბაჩო: *„შალვას გაშვება არ უნდა, მეც ეხლა შეიძლება მოყოლასთან უხერხულობა მაქ, ძაან ძალადობრივ სცენებს შეიცავს“*(გურის ესაუბრება და დროდადრო გადახედავს შალვას ემოციებს). შალვა: *„არა, არა არ გინდათ ქილიკი მართლა....“*აქ ბაჩო აწყვეტინებს: *„ისეთი ძალადობა, როგორიც მაგალითად არის დასინვა“*გური: *„ბიჭო, თემა ვაბშე რა არის იცი“* შალვა: *„აღელვებული იყო ის გოგონა, გასაგებია ხო, არ გვინდა“.* ბაჩო: *„დასინვა იცი როგორი ტრამვაა“*(სერიოზული სახით საუბრობს ამაზე). შალვა: *„გავიგე, იმ გოგოს ბრალი კი არ არის, არის დედააფეთქებული ფორმულას ბრალი, დედააფეთქებული ტვ პირველის ბრალი, რომელსაც თემა რაღაცნაირად ხო ვითომ დაიწყეს რაღაცით და მერე ჰიპერტროფირება მოხდა პრობლემის და ცირკი მოაწყეს“*(ხმამაღალი ტონით და ხელების ჟესტიკულაციით გამოირჩევა ამ მომენტში) - ამ მონაკვთში შალვა რამიშვილი საკმაოდ მოწყვლად მდგომარეობაში იყო რეპუტაციულად, ამიტომ ოდიშარიას მიერ სიტუაციის განგებ „დამძიმება“, ერთგვარი „სპოილერის“ შექმნა გაუცნობიერებელი ან, პირიქით, ზედმეტად დაინტერესებული მსმენელისთვის, სიტუაციის განმუხტვას ემსახურებოდა. ასევე სტრატეგიულად გამართლებული სვლაა რამიშვილის, ასე ვთქვათ, „ცოდვების“ განეიტრალება „სააკაშვილის“ იმიჯური ცოდვებით. . .

გადადიან უკვე სხვა თემის განსახილველად, სადაც „ლელო საქართველოსთვის“ წევრის მიმართ ცინიზმს გამოხატავენ, ხოლო „ქართული ოცნების“ მიმართ დადებით განწყობას, რაც კვლავ აჩვენებს გადაცემისა და არხის პოლიტიკას, შალვა: *„საბა ბუაძე როგორ იწერება?“*გური: *„ერთად“* შალვა: *„როგორ იკითხება?“*გური: *„დეფისით იწერება* (იცინის) *საბა და ბუაძე“* გურის და შალვას დიდხნიანი დიალოგის შემდეგ ბაჩოც ჩააერთო

საუბარში: *„ვაჟა-ფშაველა და საბა-ბუაძე“* შალვა: *„საბა-ბუაძე“* - ამბობს და მის ვიდეოს უშვებს ეთერში ტვ პირველის გადაცემიდან, რომელიც საუბრობს, თუ ვინ არის ქართული ოცნების სამიზნე - ქალები და ახალგაზრდები, რაზეც იცინიან წამყვანები, ვიდეოს წყვეტენ და გური ამბობს: *„ქართული ოცნების სამიზნე ქალები? ბიჭოო, ბიჭოო, ბიჭოოო. ანუ ერთი წამი რა, ერთი წამი* (იცინის და მერე სერიოზულად ამბობს) *ქართული ოცნების პირობებში გენდერულად სენსიტიური გახდა მაგალითად - ინსპექტორი, შსს-ში შევიდა ასევე გენდერულად სენსიტიური სხვა სწავლების და ის რა ქვია, ქცევის პროტოკოლი,მივიღეთ უამრავი კანონი, შევიწროვების მიმართულებით თუნდაც, მივიღეთ კანონები ადევნების მიმართულებით, შემაკავებელ ორდერზე, კვოტირების სისტემა შევქმენით რაა და ეხაა უყურეე პროსტა რა არის ღადაობა რო, ქართული ოცნება რომელიც, იი იი იის, ქალაქშიც არ არსებობს ხმები, რო იმ დეპუტატმა ასე ქნა, ისე ქნა, თავსგასულობა რა, რიგი მიზეზების გამო რა და ნაციონალური მოძრაობა, პირდაპირ ასაკობრივი ზღვარი დაწიეს თუ გახსოვთ...“*

კვლავ უბრუნდებიან მიხეილ სააკაშვილს და მის წონას განიხილავენ არაესთეტიურად, რისი საუბარიც ეთერში უნდა ეუხერხულებოდეთ წამყვანებს, თუმცა ამ გადაცემის წამყვანები ამაზე ხუმრობენ, გაუშვეს ვიდეოს, სადაც კლინიკა „ვივამედის“ დირექტორი საუბრობს სააკაშვილის წონასა და კვებაზე, ასევე, იმაზე, რომ მედიკამენტებზე უარს ამბობს და ა.შ. ბაჩო ბარბარიზმებს და ქუჩურ საუბარს კვლავ იყენებს: „ხო **კაროჩე,** გადასაყვანია ციხეზე რა, გადასაყვანია რა, **არ მოსულა** ესე“ გური: *„სხვათაშორის მე მაქ ნანახი რაა, მმმ მმმ, კადრები, სადაც მიშა როდის იწონება, იცი? პირდაპირ კი არ იწონება, ჯერ საპირფარეშოში შედის,* (აქ შალვა იცინის და გური სერიოზულად საუბრობს). *აყოვნებს ანუ დეფეკ...“* აწყვეტინებს შალვა: *„ანუ შემსუბუქებულია“* გური: *„დეფეკაციას განიცდის და იმაშვება. ეს წონები არის შესვლამდე და შესვლის მერე* (აქ იცინიან), *როდესაც საუბარია 64 კილოზე* (კვლავ იცინიან). შალვა: *„ანუ განავლიანია თუ არაგანავლიანია“...* გური: *„ანუ აქ არის გაბერილი რა“*(იცინის) ბაჩო: *„გააყოლა?“*(იცინის) გური: *„აქ არის ის ანეგდოტი როა ბელურაა ფუუუ“*(იცინის სამივე). კვლავ აგრძელებენ ამ თემაზე და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ ხუმრობასა და ცინიზმს და გადაცემასაც ასრულებენ.

25 მაისის გადაცემა: შალვა გადაცემას ოპოზიციის მიმართ ირონიით, ცინიზმით და შეურაცხყოფით იწყებს და სხვა წამყვანებიც ყვებიან ამ საუბარში, შალვა: *„როგორ ხვდებიან საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ვაი ოპოზიციონერები და ბოღმით სავსე ბოჩკები..“* ბაჩო: *„რეალური დამოუკიდებლობის არმსურნენი“* შალვა: *„არმსურნენი და ბოღმით სავსე ბოჩკებით ამას ცოტახანში მოგასმენინებთ, განახებთ.“*შემდეგ სხვა თემაზე საუბრობენ, კონკრეტულად ლაზარე გრიგორიადისის (2023 წლის მარტის აქციების მონაწილე და „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლის ბრალდებით დაკავებული ახალგაზრდა) მამის ხმოვან გზავნილებს უშვებენ ეთერში, რის შემდეგაც წამყვანები თემას განიხილავენ და ბარბარიზმებს, ქუჩური კულტურისთვის ამხასიათებელ შეზღუდულ კოდებს იყენებენ, განსაკუთრებით კი შალვა რამიშვილი: *„და ამის მერე უნიშნავს **სტრელკას** და **სტრელკაზე** არ მოვიდა ის და მე შეიძლება... განა თქვენ არ იცოდით რო თქვენს გარშემო, აი, ვინც აგულიანებდა საქმეზე რო წაიყვანა თქვენი შვილი ისინი ყველანი **ბოზები** არიან! არ იცოდით ეგა? მე გეუბნებით. აი, მე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეგენი არიან **ბოზები,** ვინც წაიყვანა, ასროლინა ან შეაგულიანა თქვენი შვილი ასეთი რაღაცის გაკეთებაზე და შემდეგ, რა თქმა უნდა, **ბოზი რისი ბოზია რო არ მიატოვოს.** ამიტომ შეწყვიტეთ ესეთი საუბარი, ყველაფერი გააკეთეთ კანონის ფარგლებში...“*(ბოლოს იცინის), ბაჩო: *„ვსო, ქესტუმ“*(იცინის).

შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესა და ევროკავშირის დროშაზე საუბრობენ. შალვა კვლავ აგრძელებს უცენზურო სიტყვებით საუბარს პირდაპირ ეთერში: ***„ჯერ არა გვაქ ტრაკი,“ „დიქტატურა დამყარდაო როდის დააწერეს იმ ჩემისებმა?“***

ლევან ბერძენიშვილის (ფილოლოგი) კომენტარია მთავარი არხიდან ამოჭრილი, რომელიც 26 მაისზე საუბრობს, რომ ამ დღეს ყველას ხელში უნდა ეჭიროს საქართველოსა და ევროპის დროშა, ასევე ამბობს, რომ არ არის მთავარი რა გამოაფინა საქართველოს ხელისუფლებამ და მთავარია ჩვენ რა გვიჭირავს ხელშიო. შალვა ვიდეოს წყვეტს და კომენტარს აკეთებს: *„ხოო თქვენ რა გიჭირავთ ხელში... გააჩერეთ, გააჩერეთ. **ნუუ, ლიჩნად** ლევანა ბერძენიშვილს რა უჭირავს ხელში იმას მაინდამაინც ნუ აიტაცებთ რაა, ამდენ, დაბერდა კაცი და სირცხვილის, თავსლაფის, სისამაგლის და რეპუტაციის შელახვის და*

ყოვლაად დისკრედიტაციის გარეშე, დიის დისკრე დისკრედიტაციის გარდა ხელში არაფერი არ უჭირავს, ამიტომ ნუ აყვებით და მას რაც უჭირავს ხელში ის არ გქონდეთ“ - შემდეგ ეთერში გაუშვეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრის პაატა მანჯგალაძის კომენტარი პარლამენტიდან, რომელიც ამბობს რომ აღიზიანებს, ის რომ ევროკავშირის დროშა არ არის გამოფენილი ქვეყნის მთავარ გამზირზე, ქვეყანაში რომელიც ელოდება კანდიდატის სტატუსს და რუსულ იდეოლოგიას აწერს ამას. ამაზე შალვა კომენტარს აკეთებს: *„როგორ არ არიი!“ „აჰაა, მეტი რაღა გინდათ ხალხოოო **ბიჭოო,** რაუნდაააა“* ბაჩო: *„ეს **გნიდა** ეხა ხო პარლამენტიდან ერთვება აშკარად, ანუ ფანჯრიდან რომ გაიხედავ იმ ბოძზე კიდია ევროკავშირის დროშა“*შალვა: *„რა უნდაათ ამ **დედააფეთქებულებს,** მართლა, არა ნერვების მომშლელია რაა.“*

რუსეთის თემაზეც საუბრობენ და საქართველოსთან მიმართებით ირონიას არ იშურებენ, შალვა: *„არაა, არაა, მე გეტყვი შენ, მე გეტყვი. ჩვენ გვითხრეს, პუნქტებად რო ჩამოგვიწერეს, მაგაზე რეპორტაჟს ვაკეთებ, ჩვენ მაგალითად უნა შევაჩეროთ ყველანაირი მიმოსვლა, მათ შორის სახმელეთო რუსეთთან, მათ შორის ქართველ თანამემამულეებს, რომელთაც აქვთ რუსული პასპორტი იმათაც უნდა აუკრძალოთ შემოსვლა და ვაგინოთ პუტინს და გავუგზავნოთ ჯარი და იარაღი უკრაინას“*(ამ დროს გურის ელარაპაკება ირონიულად ამ თემაზე), გური: *„ოღონდ მხოლოდ ჩვენ სამყაროში“* შალვა: *„ხოო, არაა...“* გური: *„მსოფლიოში“* შალვა: *„აბა, აბა უკრაინა ატარებს ძმაო გაზს. პუტინის, პუტინმა თქვა პუტინმა, დასცინა, ირონიულად თქვა, უკრაინას დასცინა რო ჩვენო მიუხედავად ასეთი ომისაო, მშვენივრად ვთანამშრომლობთ გაზით ვაჭრობაშიო, ანუუ, არი მილი, რომლითაც გაზი შედის უკრაინის გავლით და თანო უკრაინასო, მაგარ რაღაცას ამბობს, ძაან ისე ამბობს რა, რო ჩვენო უკრაინასო კაპიკ-კაპიკ ზუსტად დროში ვურიცხავთ ფულსო რაა, ხვდებიი? ანუ იმხელა ომია და ვაჭრობენ ტიპები რა, ჩვენთან არ შეიძლება, ჩვენ არა“*

შემდეგ ხუმრობა/ირონია დაიწყეს ჰაბიტუსზე თუ შეუძლიათ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გამოცნობა ლევან ხაბეიშვილის მხარესაა თუ ნიკა მელიასი, რაზეც გური ამბობს: *„კი ცალსახად შემიძლია, **არ გავმაზავ დაჟე**“.* შემდეგ ხატია დეკანოიძის ვიდეო კომენტარია, რომელიც საუბრობს ნაც.მოძრაობასა და მის პრობლემებზე, რასაც

განიხილავენ წამყვანები, *შალვა: ,,აი უყურე რახან ეს არის ხაბეიშვილის წინააღმდეგი, ანუ სტოპ კადრიც რომ გაუშვათ, გაუშვით თუ შეიძლება. ხატია კი ვიცი, ხო ამას შედარებით ადამიანუ* (აღარ დაასრულა ეს სიტყვა) *ისეთი სახე აქ ხო რა."* გური: *,,მას, მას აქვს რა? მაღალი შუბლი?"* შალვა: *,,ინტელექტი გამოსჭვივის?"* გური: *,,მაღალი შუბლი?"* (იცინის) *ვინც ხაბეიშვილის მომხრეა, იმათ რაღაცა აქვთ გამოხედვაში"* ბაჩო: *,,მზერა"* შალვა: *,,მზერა. ამას არააქვს ხაბეიშვილის მომხრის მზერა"* - კვლავ საუბრობენ ოპოზიციონერების მიმართ უარყოფითად, ცინიზმითა და ირონიით, რაც შემდეგი ვიდეოგანხილვების დროსაც იგრძნობა, მაგალითად ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ვიდეოკომენტარი გაუშვეს ეთერში და მისი მაისურის წარწერას განიხილავდნენ (I ❤ switzerland), გური: *,,ეს მაიკა ,,მე მიყვარს შვეიცარია" და* ***ვაბშე*** *ამას აქ ფეტიშები, უცნაური ფეტიშები"* შალვა აწყვეტინებს: *,,კი, ამერიკული ფეტიშები ხო ქონდა, ამერიკის ჯარის ფეტიში"* გური: *,,ამერიკის ჯარის, რაღაცა იმეებს რო იცვამს სმიტ ვესონი და უესეი და სისულელეებს* (იცინის), *ხო და ეს ,,მე მიყვარს შვეიცარია" აქეთ* (მარცხენა მხარეს, გულთან იდებს თითს) *ლევისის მაიკაზე ეწერა?"* ბაჩო: *„აა, ეგ აღარ შემიმჩნევია"* გური: *„ანუ მე მგონია.."* შალვა აწყვეტინებს: *,,ლევისმა გამოუშვა შვეიცარიული მაიკა"* გური: *,,არა, არაა, არ არსებობს, ეგრე არ იქნება. ლევისის პოლო იყიდა და მერე თვითონ დააწერა"* (იცინის), შალვა: *,,დააკერა? დაპრინტა"* (იღიმის), გური: *,,ან ვინმე გირჩელის ბიზნესი იქნება მაიკებს რო იმაშვებიან.."* ბაჩო და შალვა ერთდროულად პასუხობენ: *„პრინტავენ."* ბაჩო: *,,კაი, რა მნიშვნელობა აქვს, ეს არის უნიკალური შემთხვევა, მართლა, როგორც იმ ანეგდოტში რო არის ცხენი რო ცირკში რეკავს და რა შეგიძლიათ გააკეთოთო, ცხენი ვარ ვლაპარაკობო და მეტი რაღა გავაკეთოო, ანუ კაცი არის რომელსაც შეუძლია საჯდომით საუბარი ანუ ზის და საჯდომით გველაპარაკება* (იღიმის) *მეტი რა, რაც გინდა ის ეცვას, ძმაო, გინდა მე მიყვარს შვეიცარია და გინდა მე მიყვარს ბანგკოკი ეცვას, კაცო".* შემდეგ კიდევ რამდენიმე თემას განიხილავენ კვლავ ირონიითა და კრიტიკით და ასრულებენ გადაცემას.

26 ივლისის გადაცემა: გადაცემას ჩვეულებრივ იწყებენ მისალმებით და შემდეგ გადადიან პოლიტიკურ თემებზე სასაუბროდ, შალვა კვლავ ოპოზიციის წევრების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი და მათზე ხუმრობს: *,,ესეიგი გუშინ მელია იყო,*

*მეგობრებო, კუდაგრძელია, გრიგოლიასთან ხო"*შემდეგ უყურებებ მელიას ვიდეოკომენტარებს ინგა გრიგორიას გადაცემიდან, ხან წყვეტენ და საუბრობენ და შემდეგ ისევ აგრძელებენ ყურებას, კრიტიკას და უარყოფით დამოკიდებულებას კვლავ გამოხატავენ ოპოზიციის და ამ შემთხვევაში ნიკა მელიას მიმართ, ასევე, განიხილავენ მიხეილ სააკაშვილსაც. მათი დისკუსიის ერთ-ერთი მაგალითი, სადაც მელიას შეურაცხყოფას აყენებენ და ცინიზმიც მკვეთრად ჩანს, გური შუა ვიდეოკომენტარის დროს იცინის: *,,ჰაჰაჰაჰაა, საღოოლ, საღოოლ"*

ბაჩო: *,,ამბიციაა და ამუნიცია

ბაჩო: *,,კაი. კარგია რო კორექტულად თქვი, მაგრამ ვაშაძესთან შედარებით უკვე ნამეტანი ძვირიმოსდის რა…"*

შალვა აწყვეტინებს: *,,ბიჭო, თვითონ მატყუარაა, მოატყუა თავის თავი"*

ბაჩო: *,,ნუ ვაშაძემ რო თქვას მელიაზე, რო კაი ბიჭიაო და ენერგიული იგივე იქნება რა"*

შალვა: *,,ბიჭო, მელია ის არ იყო პრემიერი…"*

გური პარალელურად ამბობს: *,,არა, მელია ვაშაძესაც ჯობია"*

შალვა: *,,პრემიერ-მინისტრი არ შეუშვათო ეგ არ იყო? ორჯერ თქვა ხო? ორჯერ. წრე რამდენჯერ დაარტყა კანცელარიას,* (რაღაც სიტყვას ამბობს და არ ისმის), *ორჯერ მახსოვს მე"*

გური: *,,არა ბევრჯერ თქვა ის, რაც ვერ შეასრულა, კაცო"*

ბაჩო: *,,ერთი კალიბრია რა"*

გური: *,,ვინ და ვინ"*

ბაჩო პასუხობს გურის: *,,ვაშაძე და მელია"*

გური: *,,კაი ბიჭო ვაშაძე სტერეოტიპია"*

შემდეგ კვლავ მელიას ვიდეოს უშვებენ ეთერში, რის შემდეგაც აკეთებს ბაჩო კომენტარს: *,,ხაბე ხაბე არის ამასთან* (მელიას გულისხმობს) *შედარებით ბუზი და ესაა ზარბაზანი"*

შემდეგ ჩართეს ხაბეიშვილის კომენტარი და წამყვანთა აზრები გაიყო ხაბეიშვილსა და მელიასთან მიმართებაში: *,,აბა, ბიჭებო, უფრო მაღლა არ აღმოჩნდა მელიაზე? ის ჩივის, წუწუნებს და გამარჯვებულია რა."* გური: *,,არა, არა, ეს რას თამაშობს იცი? როგორც დასტოინი პოლიტიკოსი გასცემდა პასუხს და ეხა რავიცი… მმმ… შენ რომ რომის პაპის ფორმა ჩაიცვა იქნები რომის პაპი?* (აქ ტონს აუწია და შალვას მიმართავს), *გეკითხები."* შალვა: *,,არ ვიქნები. "* გური: *,,ხო და ესეც არ არის"* (ისევ მაღალი ტონით ამბობს, მაგრამ თან იღიმის). ბაჩო: *,,არასწორ მსჯელობაში შეხვედით მემგონი, იმიტო რო ის რომ*

ხაბეიშვილი ცდილობს რომის პაპის მანტია ჩაიცვას და ილაპარაკოს, როგორც პოლიტიკოსივით ეს არ არის მემგონი გამოწვეული და განპირობებული იმით, რო მან ეს თავის თავში დაალაგა რო ასე ექნა, მემგონი უბრალოდ შეეშინდა"(წყნარად და ღიმილით საუბრობს). გური: *,,არა, არა, არა"*(მკაცრად ამბობს), შალვა: *„ნწწ"* ბაჩო: *,,გუბაზა არ მიქნასო, გუბაზა არ მიქნასო, წუწუნებდა…"* გური აწყვეტინებს: *,,არა, დაცვა ყავს ამას და ფული აქ და მელიას…"* ბაჩომაც არ დაასრულებინა საუბარი: *,,მერე მელიას არ ყავს დაცვა?"* გური: *,,მერე მელიას ფულიც აღარ აქ ეგრე"* შალვა: *,,დაცვა დაცვაზე წავა"* ბაჩო: *,,დაცვა დაცვაზე წავა და შეჭამს ამას, ბიჭო"*(ბაჩო იცინის, შალვა და გური სერიოზულები არიან). გური: *,,არა, არაა"* შალვა: *,,შენ მელია გლადიატორი ნუ გგონია"* ბაჩო: *,,კაი, ხაბეს გადაიმტვრევს, რას მეუბნები."*

შემდეგ შალვა ამბობს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის დავით კირკიტაძის ვიდეო გაუშვან ეთერში, რაზეც ბაჩოს პრეტენზია აქვს, ამ შემთხვევაშიც გაიყო წამყვანთა აზრები: *,,მე ვერ გავიგე, რა ჯანდაბად გვინდა დათო კირკიტაძე თუ რამე მაგარ სიგიჟეს არ ამბობს გვყავდეს ეთერში, ანუ კაცი…"* შალვა აწყვეტინებს: *,,ეხლა განვიხილოთ ჩვენი შიდა ცენზურა, ანუ კირკიტაძე არ გაუშვათ?"* ბაჩო: *,,თუ, თუ, ძმაო, ისევ ისეთი სვეჟი წვეტიანი ფეხსაცმელი არ აცვია და ეგ არ ჩანს* (აქ იღიმის) *და რამე განსაკუთრებულ კლოუნადას არ აწყობს…"* შალვა: *,,მე, მე… როგორც თქვენ იტყვით ისე გავაკეთოთ."* გური: *,,ბიჭო, ვიზიარებ ამ შემთხვევაში ბაჩოს პოზიციას, იცი რა არის? ზედმეტად სტერილურია და ეხლა კირკიტაძე გამოირჩეოდა ძალიან მაგარი სტილით, ძალიან მაგარი, ვთქვათ, ესტეთიკური გადაწყვეტილებებით, სიგიჟით და ასე შემდეგ და ეგ თუ არ არის ეხა კირკიტაძის ანალიტიკა…"*ბაჩო *აწყვეტინებს: ,,არასაინტერესო ჯაგაა, საინტერესო ჯაგები ხო არი, კაცო, ისინი გავუშვათ"*

შემდეგ ლევან ბერძენიშვილის კომენტარს განიხილავენ, რომელზეც უცენზურო სიტყვებსაც და კრიტიკას იყენებენ, შალვა ასე მიმართავს ლევანს: *,,შე ბანძო…"*და განიხილავენ ბერძენიშვილის კომენტარს.

შემდეგ ანა ნაცვლიშვილის ინტერვიუ აღებულია ტვ პირველის გადაცემიდან, რომელიც ხაზარაძეზე ამბობს რომ 10 000 სამუშაო ადგილი აქვს შექმნილი, რაზეც წამყვანები (გურის გარდა) კრიტიკულად არიან ხაზარაძის მიმართ გაწყობილები, გური კი მიზეზს ასახელებს თუ რატომ არ უნდა ამ თემაზე საუბარი: *,,ბიჭო, მე კიდე ერთხელ ვიტყვი რა, ბაბუაჩემმა ძალი მთხოვა…"*ბაჩო აწყვეტინებს: *,,ვერც დავუშვი, ვერც დავუშვი"*(ვერ დაუშვა რომ ხაზარაძეზე საუბრობდა), გური: *,,ბაბუაჩემმა ძალიან მთხოვა, რო რაღაც ურთიერთობა მაკავშირებსო…"*შალვა აწყვეტინებს: *,,შენ არ თქვა, მაშინ არ იტყვი, არ თქვა შენ"*გური: *,,ხო და მოდი გავჩერდები"* შალვა: *,,ხაზარაძემ სამუშაო ადგილები შექმნა, ძალიან კაია თუ ხაზარაძემ სამუშაო ადგილები შექმნა, მარა რავიცი ეხლა რა."* ბაჩო: *,,ბევრი უსახლკაროც შექმნა, უსახლკარობის შექმნაზეც აქვს ნამუშევარი"*(იღიმის და ირონიას აქსოვს), შემდეგ ხაზარაძისა და კეზერაშვილის მიერ შექმნილ სამუშაო ადგილებს განიხილავენ.

გადადიან გიგი უგულავას ვიდეოკომენტარზე, სადაც საუბროს რომ ეს მთავრობა ყველაფერს აყალბებს და აქამდეც ბევრი რამე გაუყალბებიათ. შალვა: ***,,კაროჩე.."*** ბაჩო: *„ა, ესე უნდა დააგორგოლავო* (ფურცელი დაახვია და მაგიდაზე დაარტყა და თან იცინის) *ჩააფ, ჩააფეთო."* შალვა: *,,არა, დააგორგოლავო… დააგორგოლავეზე გამახსენდა და საჯდომში ანუსში რო შეეტანა, შეეტენა, ვაჟკაცი კი არა გმირი იქნებოდა ალბათ"*ბაჩო: *,,არა, მაშინ იქნებოდა სუპერმენი"*(იღიმის ირონიით). შალვა: *,,ბიჭო, ამისთანა უთავმოყვარეო კაცის მნახველი არა ვარ, როგორც კაცობაში, ქალაქში, ოჯახში, ისე პოლიტიკაში."*ბაჩო: *,,მსჯავრდებული კაცი, ლაპარაკობს ოცნებაზე, რო ესენი არიანო …"* შემდეგ ამ თემას განიხილავენ და გადაცემასაც ასრულებენ.

როგორც ზემოთხსებული დისკუსიებიდან/საუბრებიდან ჩანს „სამნი &Co-ს" წამყვანები ოპოზიციის, განსაკუთრებით კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ უარყოფითად არიან გაწყობილები, რაც მათ უცენზურო, შეურაცხმყოფელ, კრიტიკულ და ცინიზმით სავსე საუბარშიც გამოიკვეთა, ასევე მათი ეს უარყოფითი განწყობა წარმოაჩენს ტელეკომპანიის მხარესაც. წამყვანები ხელისუფლებისა და რუსეთის მიმართ დადებით მხარეს წარმოაჩენენ. ისინი ხშირად იყენებენ ბარბარიზმებს, ქუჩურ სიტყვებს, ერთმანეთს

ხშირად აწყვეტინებენ საუბარს ან ხშირად პარალელურადაც საუბრობენ, წამყვანები ხშირად თავისი ნებითაც წყვეტენ წინადადებებს, ან ხშირად იმეორებენ უკვე ნათქვამს.

აღსანიშნავია, რომ წამყვანთა შორის იგრძნობა ვინ არის დომინანტი, ესაა შალვა რამიშვილი, რადგან ის ყოველთვის ცდილობს იყოს მთავარი როლის შემსრულებელი, პრიორიტეტს ანიჭებს საკუთარ აზრს, რაც შეეხება გურის, ის ყოველთვის ცდილობს რთული ტერმინებით საუბარს, ხშირად ეწინააღმდეგება დანარჩენ წამყვანებს, მაგრამ საბოლოოდ შალვას მანიპულაციით მაინც ერთ აზრზე ჯერდებიან, ხოლო ბაჩო ხშირად იყენებს თბილისურ სლენგებსა თუ „ქუჩურ“ მიმართვებს, ის თითქმის ყოველთვის ეთანხმება შალვას, ერთადერთი გამონაკლისის გარდა.

არავერბალური (არჯაილის კლასიფიკაციის მიხედვით მიხედვით):

სხეულებრივი კონტაქტი:აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანები ერთმანეთს ფიზიკურად არ ეხებიან ხშირად, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რაიმე ხუმრობის შემდეგ შალვამ გურის ან ბაჩოს ხელი დაადო მხარზე ან ხელზე, სხვა ფიზიკური შეხება არ ყოფილა.

სიახლოვე: გადაცემის წამყვანები ოვალური ფორმის მაგიდასთან სავარძლებზე სხედან, ისე რომ კამერაში ყველა კარგად ჩანდეს, შალვა შუაში ზის და გური და ბაჩო მის გვერდით ორივე მხრიდან, თუმცა მათ უხერხული სიახლოვე არ ჰქონიათ ამის გამო, დისტანციაც აქვთ ერთმანეთთან.

ორიენტაცია: როგორც აღვნიშნე, მაგიდასთან ისე სხედან წამყვანები, რომ ორიენტაცია დაცულია, მათ არ აქვთ არანაირი შეზღუდვა ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის, არც მაყურებელთან სხედან უხერხულად, არც ზურგს აქცევენ მათ, თუმცა შალვა უპირატესობაშია, რადგან ის კამერის პირდაპირ ზის, ხოლო რადგანაც ბაჩო და გური შალვას აქეთ-იქიდან სხედან შორი კადრიდან უმეტესად პროფილი უჩანთ, ხოლო ახლო კადრის შემთხვევაში ოპერატორი უმეტესად წინა მხრიდან უღებთ.

გარეგნობა: წამყვანებს ყოველთვის მოწესრიგებულად აცვიათ, სატელევიზიო სივრცის შესაბამისად, თუმცა უფრო თავისუფლად - პიჯაკი, შარვალი, მაისური ან იშვიათ შემთხვევაში პერანგი, ერთადერთ შემთხვევაში 31 იანვრის გადაცემაში მხოლოდ ბაჩოს ეცვა ეგრედწოდებული ჰუდი, ხოლო დანარჩენებს კლასიკურად ეცვათ, თუმცა გადაცემისთვის ამას ხელი არ შეუშლია, მათი ჩაცმულობით გადაცემის ვიზუალური მხარე არ დარღვეულა, თუმცა აკადემიური ჩაცმულობითაც არ გამოირჩევიან.

თავის ქნევა: თავის ქნევის შემთხვევები ამ გადაცემაშიც კვლავ იყო, რაც კვლავ თანხმობის ნიშანი იყო ერთმანეთის მიმართ.

სახის გამომეტყველება: წამყვანთა სახის გამომეტყველება მათი ემოციებისა და საუბრიდან გამომდინარე იცლებოდა, „მრგვალი მაგიდის“ წამყვანებისგან განსხვავებით, „სამნი &Co-ს“ წამყვანები მშვიდი სახეების შენარჩუნებას ისე ხშირად ვერ ახერხებდნენ, უმეტესად მათ სახეზე ღიმილი/სიცილი იყო ან ირონიას, ცინიზმსა თუ სიმკაცრეს გამოხატავნენ ოპოზიციაზე საუბრისას, რაც სახის გამომეტყველებაზეც აისახება, გარკვეულ შემთხვევებში ტონსაც უწევდნენ, რა დროსაც სიბრაზე ან გაოცება ემჩნეოდათ სახეზე, რაც წარბების ზემოთ აწევით და მკაცრი სახით გამოიხატებოდა, ამ შემთხვევაში „სამნი &Co-ს“ წამყვანები ბევრად მეტ ემოციას გამოხატავდნენ და სახეზეც აესახებოდათ.

ჟესტები: წამყვანები ჟესტების ენას საკმაოდ იყენებენ, ისინი საუბარს თითქმის სულ ხელებსაც აყოლებენ, ანუ ხელებითაც საუბრობენ, უმეტესად სხეულს ყვება ხელები და თავისით, ბუნებრივრად მოძრაბს, მაგრამ იყო გარკვეული შემთხვევები, როდესაც ხელის ჟესტები წამყვანმა გამოიყენა შეურაცხმყოფელად, როდესაც გური ამბობს *„ჩემი დედა ვატირეს“ ამ დროს კი ხელით აკეთებს ამ გინების ჟესტს და თანაც იცინის, მსგავსი შემთხვევა სულ სამი იყო და სამივე გურიმ გააკეთა 31 იანვრის გადაცემაში, რაც არაესთეტიურია და ჟურნალისტურ ეთიკასაც ცდება.*

პოზა: როგორც აღვნიშნე, წამყვანები მაგიდასთან სხედან, ძირითადად ან სავარძელს ეყრდნობიან ზურგით, ან მაგიდას ხელებით, თუმცა გარვეულ შემთხვევებში გური და ბაჩო ზედმეტად მოდუნებულადაც კი სხედან, თითქოს გადაცემა არ მიმდინარეობს ეთერში,

ასევე, გარკვეულ შემთხვევებში ფეხი-ფეხზეც აქვთ გადადებული, თუმცა ეს უხერხულობას არ ქმნის. წამყვანებს ფეხზე დგომა ან სიარული არ უწევთ, ამიტომ ნაკლებად გამოირჩევიან სხვა ჯდომის პოზებით.

თვალის მოძრაობა და თვალით კონტაქტი:ვინაიდან წამყვანები ყოველთვის ერთმანეთში საუბრობენ ან ვიდეოკომენტარს უყურებენ, ან ამ ვიდეოს უყურებენ ან ერთმანეთს უყურებენ, იშვიათ შემთხვევაში იყურებიან კამერაში, როდესაც მაყურებელს მიმართავენ და ამ იშვიათი შემთხვევებიდან უმეტესად შალვა იყურება კამერაში და მაყურებელს ესაუბრება. დანარჩენ შემთხვევებში ისინი ერთმანეთს უყურებენ და თვალით ეკონტაქტებიან, თუ ბაჩო ან გური საუბრობს, ზოგიერთ შემთხვევაში შალვას თავი აქვს დახრილი და არცერთთან არ აქვს თვალითი კონტაქტი, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ინტერესს არ იწვევს ეს საუბარი მასში, მაგრამ გური და ბაჩო ყოველთვის კონტაქტობენ თვალით შალვასთან ამ უკანასკნელის საუბრის დროს, თუმცა უმეტესად წამყვანებს შორის თვალლითი კონტაქტი იგრძნოვა, არც ისე ხშირია თვალითი კონტაქტის დროს მინიშნებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ამით გამოხატავს, რომ არ შეაწყვეტინონ ან სიტყვა მიეცათ მისთვის.

მეტყველების არავერბალური ასპექტები:წამყვანების ტონზე, რომ ვისაუბროთ ეს მათი სახის გამომეტყველებასავით იყო, ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრი/გაბრაზებული/გაოცებული ტონი ჰქონდათ, ხშირ შემთხვევაში ირონია/ცინიზმი და კრიტიკა იკითხებეოდა მათ ტონში, ასევე საუბრის ტონი მშვიდიც ჰქონდათ ხოლმე გარკვეულ საკითხებზე საუბრისას, მაგრამ თუ სიტუაცია გამწვავდებოდა მათი ტონი მაშინვე იცვლებოდა და ან ბრაზდებოდნენ ან მკაცრად და ხმამაღალი ტონით საუბრობდნენ, რისი უამრავი შემთხვევაც იყო,რაზეც ვერბალურ ნაწილში უკვე ვისაუბრეთ. მეტყველების კულტურასთან დაკავშირებით იყო პრობლებები, უმეტესად შალვასთან, რადგან როდესაც რაიმე სიტყვას იტყოდა მეორეჯერ, ზოგჯერ მესამეჯერაც იმეორებდა ამავე სიტყვას, განა იმ მიზნით რომ არ ისმოდა, ისმოდა უბრალოდ იმეორებდა, ასევე მეტყველების კულტურის პრობლემა იყო, რომ ხშირად ერთმანეთს აწყვეტინებდნენ ან არ აცდიდნენ საუბარს და შემდეგ სამივე ერთად საუბრობდა ან ორნი და აღარ ისმოდა

ხმები, რაც მაყურებლისთვის არც ისე კარგი მოსასმენია, ასევე საყურადღებოა, როდესაც შალვა რაიმე წინადადებას ამბობს, არავინ აწყვეტინებს, მაგრამ თვითონ წყვეტს ან ისე ხმადაბლა ასრულებს სიტუვას, რომ არ ისმის, და აზრი ეკარგება წიმადადებას ზოგჯერ.

ცხრილი N1. ბარბარიზმების, შეურაცხმყოფელი თუ ქუჩური სიტყვების პირდაპირ ეთერში გამოყენება.

ბარბარიზმები	შეურაცხმყოფელი სიტყვები	„ქუჩური" სიტყვები.
სმეშნოი	*გნიდა*	*კაროჩე*
რეიპისტი	*ჩემი დედა ვატირე*	*ვაბშე*
ვიხადნოი	*იმ ჩემისებმა*	*არ მოსულა*
პონტი	*დედააფეთექბულებმა*	*ბიჭო*
დვიჟენია	*ჩმორი*	*ძმაო*
ლიჩნად	*ფუუ ბლიად*	*ბიჭო, თემა ვაბშე რა არი იცი*
სტრელკა	*ჩემი კაი*	*არ გავმაზავ დაჟე*
კაროჩე	*ბოზი რისი ბოზია რო არ მიატოვოს*	*ჩემი კაი*
ვაბშე	*ჯერ არა გვაქ ტრაკი*	
პროსტა		
გინდა		

ბარბარიზმების, შეურაცხმყოფელი თუ ქუჩური სიტყვების პირდაპირ ეთერში გამოყენება - მთელი განზრახვაა კომუნიკაციისთვის. კილოსთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა. რაც შეეხება პაუზებს გადაცემის რიტმიდან გამომდინარე იშვიათ შემთხვევაში იყო პაუზები წამყვანების საუბრისას, მაგრამ საგრძნობლად არ შეიმჩნეოდა.

გვაქვს სამი პლასტი მეტყველებითი აქტების (1) ვიდეოები, ანუ პოლიტიკოსების განცხადებები, რომლებსაც „სამნი და კო" კომენტარისთვის იღებს; (2) შემდეგ

შიდასტუდიური რეფლექსია, გამონათქვამები, რომლებითაც ისინი ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, სპონტანურ ემოციებს, დამოკიდებულებებს, რომლებიც ხშირად მსმენელისთვის ბოლომდე გასაგები არ არის, რადგან ისინი მსმენელისთვის თითქმის არ არის გამიზნული. (3) მსმნელისთვის გადასაცემი შეტყობინება გვიან ყალიბდება, კომუნიკაციის შიდა მცირე ციკლის გავლის შემდეგ.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში გამოყენებულმა კონტენტ-ანალიზმა და კრიტიკულმა დისკურს-ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი კვლევის კითხვევბსთვის პასუხი გაგვეცა.

კვლევისთვის შეირჩა ტელეკომპანიების *ფორმულასა* და *პოსტ ტვ-ის* ანალიტიკურ-პოლიტიკური გადაცემები „მრგვალი მაგიდა“ და „სამნი & Co”, აღნიშნული გადაცემემები სხვა გადაცემებთან შედარებით არასტანდარტული და ნოვატორულია, თითოეულს სამი წამყვანი ჰყავს, განიხილავენ პოლიტიკურ თემებს და დისკუსიასაც მართავენ. აღნიშნულ გადაცემებს აქვს ფორმატები უწყვეტად. ვინაიდან, ჩვენი კვლევის ინტერესია კომუნიკატორის სტრუქტურის მოდელირება, ეს ორი თოქ-შოუ ჩვენი კლვევისთვის შესაბამისია.

კომუნიკატორების საავტორო პროექტებში მათი როლური მოდელის იდენტიფიცირება დამოკიდებულია კონკრეტული ტელეარხის პოლიტიკაზე, რადგან ჩვენი კვლევისთვის შერჩეული ტელევიზიები იყოფიან ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრე მედიასაშუალებებად, რის მიხედვითაც თოქ-შოუებიც წარმოდგენილია ამ მედიასაშუალებების სახეებად.

„მრგალი მაგიდის“ შემთხვევაში გადაცემის მთავარი კომუნიკატორები ანუ წამყვანები სტუმრებთან ერთად განიხილვენ კონკრეტულ პოლიტიკურ თემებს. გადაცემაში სტუმარი ნიშნავს, რომ ბოლომდე „ჩაკეტილი“ და იზოლირებული არ არის ხმისგან, ანუ პოტენციური კრიტიკისგან. გადაცემაში ცდილობენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან

თემებზე ისაუბრონ, რაც ბლოკების სახითაა წარმოდგენილი თოქ-შოუში: *„ქართულ” ცათამბჯენები“, ,,რა ხდება სკოლებში?” „ზეწოლა აკადამიაზე“, ,,სპორტი და პოლიტიკა არ გაიმიჯნა”, ,,ღარიბაშვილის ფარისევლობა”, „უკრაინის მზადება კონტრშეტევისთვის”, ,,ემიგრაცია - მწვავე სოციალური პრობლემა”* და *,,ვითარება ისტორიულ ტაო-კლარჯეთში”.*

წამყვანების მხრიდან შეიმჩნევა უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, რაც წარმოდგენილია კვლევის შედეგებში. წამყვანთა ურთიერთობა ერთმანეთთან ეთიკურია, ცდილობენ ერთმანეთის აზრის გაზიარებას, ერთმანეთს პატივს სცემენ, სამივე წამყვანს თანაბრად აქვს როლები გადანაწილებული, თითქმის თანაბრად სვამენ კითხვებს და ასევე თანაბრად ერთვებიან დისკუსიებში, არცერთი არ ცდილობს დომინანტობას. წამყვანები მეტ-ნაკლებად თავისუფლად საუბრობენ მშვიდი ტონით, მათი ლექსიკა თითქმის გამართულია და ბარბარიზმებისგანაა თავისუფალი. მეტყველებითი კოდები - ფსევდოაკადემიური, ნორმატიული ენა, თუმცა მწირე არაეთიკური შემთხვევაც გვხვდება. წამყვანები ცდილობენ ერთმანეთს არავერბალურადაც მიაწოდონ ხმა, თავის დაქნევა, ღიმილი ერთმანეთის მიმართ, ხმის ტონის აწევა თუ დაწევა ის კოდები, რომლითაც ისინი ურთიერთობენ. თუმცა რაც შეეხება წამყვანების დამოკიდებულებას განსხილველ თემებთან დაკავშირებით, ისინი საკუთარ დამოკიდებულებას ყოველთვის გამოხატავენ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ღიაა მათი პოზიცია ხელისუფლებისადმი და უარყოფითი განწყობის, ირონიისა და კრიტიკის გამოხატვას არ უვლიან გვერდს. რაც შეეხება აუდიტორიასთან ურთიერთობას, უპირველესად ისინი ურთიერთობენ მოწვეულ სტუმრებთან, მათთან დისკუსიაში შედიან. უმეტესად იწვევენ ისეთ სტუმრებს, რომლებიც წამყვანების უარყოფით დამოკიდებულებას გაამყარებს ხელისუფლებისადმი. ხოლო წამყვანებს არ ავიწყდებათ გარე აუდიტორიაც, ისინი პირდაპირ კამერაში და დისკუსიისას ყოველთვის ცდილობენ გარე აუდიტორიასთან სიახლოვე დაიჭირონ.

რაც შეეხება „სამნი & Co-ს“, გადაცემის წამყვანები სტუმრების გარეშე განიხილავენ გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებს. აღნიშნულ გადაცემას სტუმრები არ ჰყავს, თუმცა მისი ფორმატიდან გამომდინარე არც არის საჭირო, ამ შემთხვევაში მხოლოდ წამყვანთა ხმებია მნიშვნელოვანი, მათი მიზანია რომ თავიანთი ენა გაგვაგონონ. „მრგვალი მაგიდისგან“

განსხვავებით საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული თემები არ არის „სამნი & Co-ში“ გამოყოფილი, პოსტ ტვ ძირითადად ორიენტირებულია ერთ პერსონაზე საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე და ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე, მათ გაშარჟებაზე, მხილებაზე, ღია დაცინვაზე, ძირითადად განიხილავენ ოპოზიციონერთა ვიდეოკომენტარებს და წარმოდგენილია შემდეგი თემები განსახილველად: *ხაბეიშვილის მიმართვა ქართულ ოცნებას, მიხეილ სააკაშვილის მილოცვა ხაბეიშვილს, მიხეილ სააკაშილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაზიანებები, ნაც.მოძრაობაში საკადრო გადაადგილებები, ლიზა იასკო, შალვა რამიშვილთან დაკავშირებული ეპოპია, მიხეილ სააკაშვილის წონა, ქართული ოცნების სამიზნე, როგორ ხვდებიან საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ოპოზიციონერები, ლაზარე გრიგორიადისის მამის ხმოვანი ჩანაწერი, ლევან ბერძენიშვილის კომენტარი, ევროკავშირის დროშა დამოუკიდებლობის დღეს და ოპოზიციონერთა კომენტარები, რუსეთი, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა გამოცნობა ჰაბიტუსით, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს გაშარჟება, ნიკა მელიას გაშარჟება, ხაბეიშვილისა და მელიას შედარება, მამუკა ხაზარაძისა და დავით კეზერაშვილის მიერ შექმნილი სამუშო ადგილები* და სხვა მსგავსი პოლიტიკური საკითხები. წამყვანები განსახილველ თემებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას გამოხატავენ, ისინი უარყოფით, ხშირად შეურაცხმყოფელ, არაეთიკურ, ირონიითა და ცინიზმით სავსე განწყობებს გამოხატავენ ოპოზიციისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართ. მეტყველებითი კოდები - ბარბარიზმებით სავსე, სლენგი, ჟარგონი, სხვადასხვა კულტურის ენა (ქუჩის, ციხის, ახალგაზრდული, ოდნავ და ძალიან ვულაგრული და არაეთიკური) ხშირად შეწყვეტილი წინადებები, ხმაური - ერთდროულად საუბრი, ყველა „აკრძალული“ ან მედიისთვის მიუღებელი დიისკურსის ერთბაშად გათავისუფლება ხდება. ვინაიდან წამყვანები ამ ენებს კარგად ფლობენ და მათ რაობაში ერკვევიან, დასცინიან მათ, ვის მეტყველებაშიც ეს ხელოვნურად ჟღერს. წამყვანები ცდილობენ ერთმანეთთან არავერბალურ კომუნიკაციასაც, ჟესტებით საუბარი, თვალებით კონტაქტი, თავის დაქნევა, ხმის ტემბრის შესაბამისად აწევა/დაწევა, ღიმილი თუ ერთმანეთისთვის სიტყვის შეწყვეტა - ის კომუნიკაციებია, რაც მათ ახასიათებთ. წამყვანები

გარე აუდიტორიასთან ურთიერთობას გადაცემის პარალელურად აგრძელებენ, ისინი ცდილობენ მათი ქცევითა და საუბრით კონკრეტული მაყურებლის ყურადღების მიქცევას.

კვლევის შედეგად, *ფორმულასა* და *პოსტ ტვ-ის* მაგალითზე კომუნიკატორის როლი, ფუნქცია და შეტყობინებები შესწავლილია, ისინი განსხვავდებიან არხის პოლიტიკური მხარის მიხედვით, ასევე კომუნიკატორება წარმოადგინეს სახე მედიასაშუალებებისთვის.

ბიბლიოგრაფია

მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, (2019). მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიტს გამომცემლობა

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/1-Maisashvili.Toradze.pdf

Fiske, J. (2010). Introduction to Communication Studies . Routledge.

https://doi.org/10.4324/9780203837382

Holmes, S., & Redmond, S. (2015). "Talk Show Hosts and Their Fandoms: Audience Participation in Daytime Television and Online Fan Communities". Television & New Media. Sage Publications.

Ibrahim, D. M. (2015). "The Politics of Talk Shows: Constructing a New Public Sphere in the Arab World". Communication, Culture & Critique. Oxford University Press.

Lewis, P. (2019). "'Great chemistry on and off the screen': Celebrity, Affinity, and Liveness on the Radio". Media International Australia. Sage Publications.

Fairclough, N. (1993). "Discourse and social change". Polity.

Fairclough, N. (1995). “Critical discourse analysis”. Longman

Fairclough, N. (2001). “Language and power”. Pearson Education.

Salaverría, R. (2019). "Solutions Journalism: An Empirical Analysis of the Debate Over a New Practice". Journalism Studies. Routledge.

Weaver, D. H., & Willnat, L. (2013). "Journalism and Its Challenges: An Integrative Approach". Journalism Studies. Routledge.

Yu, X., & Zheng, H. (2022). “A Critical Discourse Analysis of Different News Reports on the Same Event: Illustrated with Examples from China Daily and The Guardian.” Open Journal of Social Sciences
https://doi.org/10.4236/jss.2022.1011023

Булейко Н. Беседа на Современном Экране. 2008. Вестник Дагестанского Государственного Университета, 2008. Выпуск 4;

file:///C:/Users/User/Downloads/beseda-na-sovremennom-ekrane.pdf

Вартанова, Е. Л. Энциклопедия мировой индустрии СМИ. / Е.Л. Вартанова и др. —М.: Аспект Пресс, 2013. —464 с

Кузнецов Г. В., Цвик В. Л., Юровский А. Я. Телевизионная журналистика. —М.: Высшая школа, 2002. —304 с

Маховская, О. Телемания. / О. Маховская. —М. —СПб. —Киев: ООО "И.Д. Вильямс", 2009. —272 с.

Назарчук А. В. Учение Никласа Лумана о коммуникации. –М.: Издательство «Весь Мир», 2012. –248 с.

Прохоров Е.П. Введение в теорию журналистики: Учебник для сту-дентов вузов / Е. П. Прохоров —8*е изд., испр. —М.: Аспект Пресс, 2011. —351 с.